

2025 • 4

ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა

EXPERIMENTAL AND CLINICAL MEDICINE

GEORGIA



XVII
საერთაშორისო
კონფერენცია

„ჯანმრთელობა და
ეკოლოგია“

2025

JECM

GEORGIA

Journal of Experimental and
Clinical Medicine

Print-ISSN 1512-0392

E-ISSN 2667-9736



ჟურნალი ეთმობა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის და სამედიცინო
ეკოლოგიის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ

XVII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას
„ჯანმრთელობა და ეკოლოგია“



ლუგანო, შვეიცარია
26-30 სექტემბერი, 2025 წელი

ნინო ჯავახიშვილის სახელობის
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ექსპერიმენტული და კლინიკური
მედიცინა

NINO JAVAKHISHVILI
SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

EXPERIMENTAL AND CLINICAL
MEDICINE

№4

ჟურნალი ინდექსირებულია შემდეგ საერთაშორისო ინდექსაციის ბაზებში:

The journal is indexed in the following international indexing databases:

Google Scholar, Crossref, DRJI, Cosmos, WorldCat



ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებს მინიჭებული აქვთ

Articles published in the journal are assigned a

DOI

სადისერტაციო საბჭოების მიერ ჟურნალი ჩართულია სამეცნიერო გამოცემების ნუსხაში,
სადაც რეკომენდებულია სადისერტაციო ნაშრომების ფრაგმენტების გამოქვეყნება

BY THE DISSERTATION COUNCILS JOURNAL IS INCLUDED IN A LIST OF SCIENTIFIC EDITIONS
RECOMMENDED FOR PUBLISHING OF THE DISSERTATION FRAGMENTS

მთავარი რედაქტორი:

ასოც. პროფესორი
ნატო კორსანტია

EDITOR-IN-CHIEF:

ASSOCIATE PROFESSOR
NATO KORSANTIA

დამფუძნებელი:

შპს „ინტერფარმი“

FOUNDER:

LTD “INTERPHARM+”

სარედაქციო კოლეგია: ნინო კორსანტია, ნატო კორსანტია, რ.შაქარიშვილი, მ.ხუბუტია

EDITORIAL BOARD: NINO KORSANTIA, NATO KORSANTIA, R.SHAKARISHVILI, M.KHUBUTIA

სარედაქციო საბჭო:


ო.აბრაჰამოვიჩი (უკრაინა), ა.ბაკურიძე, გ.ბეკაია, ლ.გოგიაშვილი, ი.გოდოვანეცი (უკრაინა), დ.დელისტრათი (აშშ), ი.იორდანოვი (ბულგარეთი), ზ.კაციტაძე, ი.კვაჭაძე, დ.კორძაია, ა.ლარინი (უკრაინა), ნ.ლომიძე, პ.ლუნკენჰაიმერი (გერმანია), თ.მაჭავარიანი, ნ.მითაგვარია, დ.მიქელაძე, ი.სლევაკი (სლოვაკეთი), ნ.ყიფშიძე (აშშ), ი.ფანცულაია, ვ.შადლინსკი (აზერბაიჯანი)

EDITORIAL COUNCIL:

O.ABRAHAMOVYCH (Ukraine), A.BAKURIDZE, G.BEKAIA, L.GOGIASHVILI, Y.HODOVANETS (Ukraine), D.DELISTRATY (USA), Y.YORDANOV (Bulgaria), Z.KATSITADZE, I.KVACHADZE, D.KORDZAIA, A.LARIN (Ukraine), N.LOMIDZE, P.LUNKENHEIMER (Germany), T.MACHAVARIANI, N.MITAGVARIA, D.MIKELADZE, J.SLEZAK (Slovakia), N.KIPSHIDZE (USA), I.PANTSULAIA, V.SHADLINSKI (Azerbaijan)

მთავარი რედაქტორი:	EDITOR-IN-CHIEF:
nkorsantia@yahoo.com (995) 599530376	
რედაქცია:	EDITORIAL OFFICE:
0161, თბილისი, კოსტავას 67	67, Kostava str., Tbilisi, Georgia, 0171

journals.4science.ge www.jecm.ge;
www.interpharm.edu.ge



სარჩევი / CONTENT

- 9 ელისო მურვანიძე, ქეთევან ხაზარაძე
ადრეული და რეგულარული სამკურნალო ფიზიკური თერაპიის გავლენა
ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების მსხვილ მოტორულ ფუნქციაზე
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.01>

- 11 ANA CHOCHIA, DAVID ZURABASHVILI, NANA KAPANADZE
Zn AND Cu LEVELS IN THE BLOOD PLASMA IN CHILDREN WITH ATTENTION DEFICIT
AND HYPERACTIVITY DISORDER (ADHD) WHOSE MOTHERS SMOKED DAILY
DURING PREGNANCY
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.02>

- 14 ქეთევან ხაზარაძე, ნინო ჯაფარიძე, აზა რევიშვილი, ირინა ჯავახიშვილი
ხელოვნური ინტელექტის გამოყენება
სპორტსმენთა პერსონალიზებული კვების შემუშავებისას
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.03>

- 16 ლელა მურუსიძე, ქეთევან ხაზარაძე, ეკატერინე მურუსიძე,
ავთანდილ გულიაშვილი, ზურაბ სულუხია, მაია კერკენჯია
რაჭა-ეკოლოგია და ტურიზმი
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.04>

- 20 ლაშა ჭელიძე, ნინო ადამია, დავით მახათაძე, დავით ცხომელიძე,
ნატალია ჭილაძე, ნინო ხარაძე
კრონის დაავადება XXI საუკუნეში: იმუნოპათოფიზიოლოგია და დიაგნოსტიკის
თანამედროვე პორიზონტები
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.05>

- 24 ავთანდილ კოჭლამაზაშვილი, მარინა გიორგობიანი, მარიამ გიგიაძე, ქეთევან თელია
მიოკარდიუმის ინფარქტი და პიროვნული ტემპერამენტი
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.06>

- 27 DAVIT TSKHOMELIDZE, LASHA TCHELIDZE, NATALIA CHILADZE
ON SOME FEATURES OF DETECTING CONCORDANCE IN MONOZYGOTIC (MZ) TWINS
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.07>

- 30 HELEN PHAGAVA, SHAMS SAMIH ALBARARI, ELENE KHACHIDZE,
MARIAM MUMLADZE, MARIAM ANJAPARIDZE
ASSESSING HPV VACCINE KNOWLEDGE AND BEHAVIOR IN MEDICAL STUDENTS
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.08>

- 35 ნინო ხარაძე, ლაშა ჭელიძე, ნინო ხვითია, მანანა ფრუიძე, ეკატერინე მჭედლიშვილი, ნატალია ჭილაძე, ნიკოლოზ საღირაშვილი, ნინო ადამია
გენდერული განსხვავება ძილის ხარისხში და პატერნების შეფასება მოზარდებს შორის: სკოლის მოსწავლეებზე დაფუძნებული კვლევის ანალიზი
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.09>
- 38 ირაკლი მჭედლიშვილი, სალომე ზაზაძე, ნატალია გარუჩავა, რუსუდან ჩოჩიშვილი
ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების გავრცელება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.10>
- 41 *GIORGI MGELADZE, SHORENA KHETSURIANI, KHATUNA GACHECHILADZE, MAIA MIKELADZE, DAREJAN METREVELI*
PREVALENCE OF EXTENDED-SPECTRUM BETA-LACTAMASES IN PSEUDOMONAS AERUGINOSA STRAINS ISOLATED FROM NOSOCOMIAL PNEUMONIA
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.11>
- 45 *NANULI NINASHVILI, MIKHEIL SHAVDIA, KHATUNA TCHAAVA, NATIA SHAVDIA, NINO GEGESHIDZE, NATALIA GARUCHAVA*
PREVALENCE OF SPECIFIC TYPES OF CHRONIC PAIN DIAGNOSIS IN ADULT PATIENTS: A REVIEW
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.12>
- 48 *NANULI NINASHVILI, KHATUNA TCHAAVA, MIKHEIL SHAVDIA, NATIA SHAVDIA, NINO GEGESHIDZE, MERI TKEMALADZE*
PREVALENCE OF CHRONIC PAIN AND ITS SPECIFIC TYPES DIAGNOSES IN BENEFICIARIES OF TWO COMMERCIAL INSURANCE COMPANIES IN TBILISI, GEORGIA
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.13>
- 52 *NODAR SULASHVILI, LUIZA GABUNIA, MARGARITA BEGLARYAN, NANA GORGASLIDZE, MARINA GIORGOBIANI, NATIA KVIZHINADZE, NANA PEIKRISHVILI, MARIKA SULASHVILI, IRINE ZARNADZE, SHALVA (DAVIT) ZARDANDZE*
ASPECTS OF THE FEATURES OF CHALLENGES OF ANTIFUNGAL RESISTANCE, ISSUES OF MYCOTOXICOLOGY, MYCOECOLOGY AND PROBLEMS OF BIOLOGICAL SAFETY IN GENERAL
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.14>
- 55 *NODAR SULASHVILI, NANA GORGASLIDZE, LUIZA GABUNIA, LEVAN RATIANI, SHORENA KHETSURIANI, VIRA KRAVCHENKO, IGOR SENIUK, MARINA GIORGOBIANI, NATIA KVIZHINADZE, MARIKA SULASHVILI, IRINE ZARNADZE, SHALVA (DAVIT) ZARNADZE*
THE FEATURES OF ADVANCES AND CHALLENGES IN COVID-19 VACCINE DEVELOPMENT, EFFICACY, SAFETY, AND GLOBAL DEPLOYMENT IN GENERAL
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.15>
- 59 *NODAR SULASHVILI, MARGARITA BEGLARYAN, NANA GORGASLIDZE, SEYRAN KOCHARYAN, NAIRA CHICHOYAN, LUIZA GABUNIA, NATIA KVIZHINADZE, MARINA GIORGOBIANI, GIORGI PKHAKADZE, IGOR SENIUK, IRINE ZARNADZE, SHALVA (DAVIT) ZARNADZE*
DETERMINANTS OF PHARMACISTS' PROFESSIONAL FORMATION AND OCCUPATIONAL DEVELOPMENT: A MULTIDIMENSIONAL EVALUATION
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.16>

- 62 *NANA GORGASLIDZE, NODAR SULASHVILI, LUIZA GABUNIA, SHAFIGA TOPCHIEVA, NATIA GAMKRELIDZE, VIRA KRAVCHENKO, MARINA GIORGOBIANI, IRINA ZARNADZE, IGOR SENIUK, LEVAN RATIANI*
A COMPREHENSIVE REVIEW OF HEALTH HAZARDS, TOXICOLOGICAL RISKS, AND REGULATORY GAPS IN COSMETIC AND PERSONAL CARE PRODUCTS
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.17>
- 66 *NODAR SULASHVILI, NANA GORGASLIDZE, MARGARITA BEGLARYAN, LUIZA GABUNIA, NAIRA CHICHOYAN, LEVAN RATIANI, SHORENA KHETSURIANI, VIRA KRAVCHENKO, IGOR SENIUK, MARINA GIORGOBIANI, NATIA KVIZHINADZE, MARIKA SULASHVILI*
THE SOME FEATURES OF IMPACT OF SYNTHETIC COSMETIC INGREDIENTS ON HUMAN HEALTH AND THE ENVIRONMENT
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.18>
- 69 *ABDALLAH ELEMI, MOHAMED ABDALLA AHMED AHMED ELSHENNA WI SELIM, SALEM MOHAMED SALEM MUSSA, ZAID ISSAM SALEH ALHAMARSHEH, AHMED MOHAMED MOHAMED MOHAMED KESHK, BACHANA APTSIAURI, AHMED KHALAF ADBELFATTAH KHEDR, MOHAMED AHMED TALAAT MAHDEY, IVLIANE SURMAVA, ETER BUKHNIKASHVILI, NINO TEBIDZE, ANNA BOZHADZE, NINO DIDBARIDZE*
FROM TRADITION TO EVIDENCE: A REVIEW OF THE THERAPEUTIC AND PREVENTIVE BENEFITS OF MISWAK
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.19>
- 75 *AHMED MOHAMED MOHAMED MOHAMED KESHK, BACHANA APTSIAURI, MOHAMED AHMED TALAAT MAHDEY, SALEM MOHAMED SALEM MUSSA, AHMED KHALAF ADBELFATTAH KHEDR, ZAID ISSAM SALEH ALHAMARSHEH, ABDALLAH ELEMI, MOHAMED ABDALLA AHMED AHMED ELSHENNA WI SELIM, IVLIANE SURMAVA, ANNA BOZHADZE, ETER BUKHNIKASHVILI, NINO TEBIDZE, NINO DIDBARIDZE*
CURRENT USE OF “HEALTHY” BACTERIA (PROBIOTICS) IN ALLERGY (A NARRATIVE REVIEW)
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.20>
- 83 *რუსუდან ჯავახაძე, ნანა ხატიაშვილი, ხათუნა ჩიგოვიძე, ნინო რუხაძე, ხათუნა შებლაძე, ოლღა ღვაბერაძე, თათია თოდუა*
კორონავირუსული ინფექციის გავრცელება სამედიცინო სფეროში დასაქმებულ ქალთა შორის
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.21>
- 86 *რუსუდან ჯავახაძე, ინგა ღვინერია, ნინო რუხაძე, ნანა ხატიაშვილი, ხათუნა ჩიგოვიძე, ოლღა ღვაბერაძე*
სასათბურე მეურნეობებში დასაქმებულებზე ფიზიკური ფაქტორებისა და პესტიციდების შესაძლო ზემოქმედება და ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.22>
- 89 *SHAFIGA TOPCHIEVA, SAMIRA SALAHOVA, LAMIYYA YILDIZ, NANA GORGASLIDZE, RUMIYYA KARIMOVA*
BIOCHEMICAL AND PHYSICOCHEMICAL PROPERTIES OF HONEY BEE VENOM, APIS MELLIFER
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.23>

- 93 *SHAFIGA TOPCHIEVA, LAMIYYA YILDIZ, ANAR GOJAYEV, RUMIYYA KARIMOVA, SAMIRA SALAHOVA, NANA GORGASLIDZE*
IDENTIFICATION OF THE INFLUENCE OF THE SHELF LIFE OF THE VENOM OF THE BLUNT-NOSED VIPER (MACROVIPERA LEBETINA OBTUSA) ON ITS TOXICITY
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.24>

- 98 *SHAFIGA TOPCHIEVA, SAMIRA SALAHOVA, LAMIYYA YILDIZ, NANA GORGASLIDZE, RUMIYYA KARIMOVA*
HONEYBEE VENOM, APIS MELLIFERA, AS A MEANS OF PREVENTION AND PROTECTION FROM RADIATION-INDUCED DAMAGE TO LIVING ORGANISMS
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.25>

- 103 *ნატალია გარუჩავა, თინათინ გაბრიჭიძე, დავით გელოვანი*
გლობალური დათბობის და ყინულის დნობის როლი ინფექციური დაავადებების ხელახალ გავრცელებაში (მიმოხილვითი სტატია)
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.26>

- 106 *ანა ფალაშვილი, ლიზი ნიკოლეიშვილი, ბელა ყურაშვილი, ეკა ელაშვილი, ანა ბოჭორიშვილი*
სურსათის აფლატოქსინებზე კვლევის შედეგების შეფასება საქართველოში
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.27>

- 110 *LEVAN GIORGOBLANI, KHATUNA TODADZE, ANI MEPHARISHVILI*
IMPACT OF ACUTE COVID-19 INFECTION ON BEHAVIORAL PATTERNS IN PATIENTS RECEIVING OPIATE AGONIS TREATMENT WITH METHADONE
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.28>

- 113 *ნატალია გარუჩავა, დავით კელენჯერიძე, სალომე ეფრემიძე, თაკო თუთბერიძე*
გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების რისკის ფაქტორების ინფორმირებულობის დონე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებში
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.29>

- 116 *RAMAZ KURASHVILI, ELENA SHELESTOVA*
THE DIVERSITY OF RISK FACTORS FOR GESTATIONAL DIABETES MELLITUS
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.30>



ელისო მურვანიძე, ქეთევან ხაზარაძე
ადრეული და რეგულარული სამკურნალო ფიზიკური თერაპიის გავლენა ცერებრული
დამბლის მქონე ბავშვების მსხვილ მოტორულ ფუნქციაზე

საქართველოს სპორტის უნივერსიტეტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.01>

ELISO MURVANIDZE, KETEVAN KHAZARADZE

**THE IMPACT OF EARLY AND REGULAR THERAPEUTIC PHYSICAL THERAPY ON GROSS
MOTOR FUNCTION IN CHILDREN WITH CEREBRAL PALSY**

Georgian University of Sport

SUMMARY

The aim of our study was to determine the effectiveness of treatment using physical therapy in cases of cerebral palsy, and to assess the impact of proper and targeted physical therapy on functional independence. Initially, we examined each child's movements to identify the influence of early and regular physical therapy on the gross motor function of children with cerebral palsy, based on the Gross Motor Function Measure (GMFM) scale. The significance of the study's findings lies in the importance of involving children in treatment from an early age and adequately managing the development of abnormal movement patterns from the outset. It was determined that targeted and goal-oriented physical therapy contributes to improving the quality of life for individuals with disabilities

Keywords: GMFM, Physical therapy, cerebral palsy, children

შესავალი. ცერებრული დამბლა თავის ტვინის არაპროგრესირებადი დაზიანებაა, ამ დიაგნოზის მქონე ბავშვებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადრეულ ასაკში დაწყებულ მკურნალობას, ანუ ჩარევას [1,2,3], რომელიც დაიწყება ჩვილობის ასაკში, 3-4 თვეზე. ამ ასაკში მუშაობს ჩვილის თავის ტვინის ადაპტაციური და პლასტიკური უნარები [4,5,6]. როგორც ვიცით, 18 თვის განმავლობაში ბავშვის განვითარების ტემპი განსაკუთრებით მაღალია.

კვლევის მეთოდოლოგია: ჩვენს მიერ მიღებული მონაცემები რაოდენობრივ ერთეულებში იზომება. კვლევა ჩატარდა 12 პაციენტზე, რომლებიც 2012-2022 წლების განმავლობაში მკურნალობდნენ ცენტრში და ბინაზე. ბავშვთა ჯამრთელობის პირველადი შეფასება ხდებოდა ექიმი ნევროლოგის მიერ, რომელიც საზღვრავდა ბავშვის დიაგნოზს და სიმძიმის ხარისხს. ბავშვების დაყოფა მოხდა 2 ჯგუფად. I ჯგუფი: 4 თვის ასაკიდან. II ჯგუფი: 8 თვის ასაკიდან. ამ ბავშვებს უტარდებოდათ ფიზიკური თერაპია, ბავშვის შესაძლებლობიდან გამომდინარე. დაკვირვება გრძელდებოდა 5 წლის განმავლობაში.

მიღებული შედეგები და დასკვნები: I ჯგუფში გაერთიანებული იყო 6 პაციენტი, რომლებსაც მკურნალობა დაეწყოთ 4 თვის ასაკიდან. **ცხრილში #1** ნაჩვენებია I ჯგუფის ბავშვთა მონაცემები და ცვლილებების ხუთწლიანი დინამიკა, თუ როგორ ხდებოდა მათი მსხვილი მოტორული ფუნქციის გაუმჯობესება.

ცხრილი #1. I ჯგუფის პაციენტების მსხვილი მოტორული ფუნქციის მონაცემები მკურნალობის დაწყებამდე და ხუთწლიანი მკურნალობის დროს


პაციენტი	მკურნალობამდე	1 წლის შემდეგ	2 წლის შემდეგ	3 წლის შემდეგ	4 წლის შემდეგ	5 წლის შემდეგ
1	0.4%	8.8%	19.6%	26.4%	34.3%	42.5%
2	0.8%	12.8%	21.7%	27.9%	33.8%	41.8%
3	0.3%	7.7%	18.9%	23.6%	30.2%	36.5%
4	0.9%	13.8%	24.4%	29.9%	36.9%	45.8%
5	0.4%	8.9%	19.3%	25.9%	30.4%	38.4%
6	0.2%	9.6%	20.8%	26.5%	31.4%	39.8%

II ჯგუფში გაერთიანებული იყო 6 პაციენტი, რომლებსაც მკურნალობა დაეწყო 8 თვის ასაკიდან.

ცხრილი #2. II ჯგუფის პაციენტების მსხვილი მოტორული ფუნქციის მონაცემები მკურნალობის დაწყებამდე და ხუთწლიანი მკურნალობის დროს

პაციენტი	მკურნალობამდე	1 წლის შემდეგ	2 წლის შემდეგ	3 წლის შემდეგ	4 წლის შემდეგ	5 წლის შემდეგ
1	9.8%	17.8%	19.6%	26.4%	31.3%	30.5%
2	11.8%	15.8%	21.7%	26.9%	32.8%	40.5%
3	8.7%	14.7%	19.9%	23.6%	29.2%	35.4%
4	12.8%	18.8%	20.4%	25.9%	32.9%	40.8%
5	9.9%	17.9%	20.3%	28.9%	33.4%	38.4%
6	8.6%	13.6%	19.8%	25.5%	32.4%	39.7%

ცხრილში #2 ნაჩვენებია II ჯგუფის ბავშვთა მონაცემები და ცვლილებების ხუთწლიანი დინამიკა, თუ როგორ ხდებოდა მათი მსხვილი მოტორული ფუნქციის გაუმჯობესება. დადებითი დინამიკა ყველა შემთხვევაში იქნა მიღებული, რაც ნათლად ჩანს GMFM-ს შკალაზე. ჩვენი დაკვირვებით დადასტურდა ადრეული ასაკიდან ჩარევის ეფექტურობა.



გრაფიკი 1. აღნიშვნები: ორდინატაზე – პაციენტთა ფუნქციური გაუმჯობესების პროცენტულობა, აბსისაზე – ცდის პირები, ლურჯი ფერით აღნიშნულია I ჯგუფის ბავშვების 5 წლის შედეგები და წითელი ფერით აღნიშნულია II ჯგუფის 5 წლის შედეგები

როგორც გრაფიკიდან ჩანს, პირველ და მეორე ჯგუფებს შორის არის მკვეთრი განსხვავება ფუნქციურ გაუმჯობესების მონაცემებში. პირველ და მეორე ჯგუფის #1 პაციენტის განსხვავებამ მკურნალობიდან ხუთი წლის შემდეგ შეადგინა - 12% (42.5%-30.5%). #2 პაციენტის - 1.3% (41.8%-40.5%), #3 პაციენტის - 1.1% (36.5%-35.4%), #4 პაციენტის - 5% (45.8%-40.8%), #5 პაციენტის - 0% (38.4%- 38.4%), #6 პაციენტის - 0.1% (39.8%-39.7%).

დასკვნები:

- მსხვილი მოტორული ფუნქციის გაძლიერების მაქსიმალურად გაუმჯობესებისათვის აუცილებელია გამოყენებული იყოს უწყვეტი ფიზიკური ვარჯიშებით თანდათანობითი გაზრდის მეთოდი.
- ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებზე ჩატარებული მრავალწლიანი დაკვირვებებით დავადგინეთ, რომ ფიზიკური თერაპიის რეგულარული გამოყენებით ადრეულ ასაკში უკეთესი შედეგი მიიღება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Girard S, Kadhim H, Roy M, et al. Role of Perinatal Inflammation in Cerebral Palsy, *Pediatr Neurol*, 2009; 40(3):168-74.
2. Mary D. Sberidan. „From Birth to Five Years”; 2001.
3. Mary D. Sberidan. „From Birth to Five Years”; 2000.
4. Palisano R., Orlin M., Schreiber J., *Campbell's Physical Therapy for Children*; 2023.
5. Rahlin M. *Physical Therapy for Children with Cerebral Palsy: An Evidence-Based Approach*; 2024
6. Jan S. Tecklin. *Pediatric Physical Therapy, Fifth Edition*; 2014.

ელისო მურგანიძე, ქეთევან ხაზარაძე
ადრეული და რეგულარული სამკურნალო ფიზიკური თერაპიის გავლენა ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების მსხვილ მოტორულ ფუნქციაზე
 საქართველოს სპორტის უნივერსიტეტი

რეზიუმე

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ცერებრული დამბლის შემთხვევებში ფიზიკური თერაპიის გამოყენებით ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობის განსაზღვრა, ადრეული და მიზანმიმართული ფიზიკური თერაპიის მნიშვნელობით ფუნქციურ დამოუკიდებლობაზე გეგავლენის განსაზღვრა.

კვლევის შედეგების მნიშვნელობა - ბავშვი ადრეული ასაკიდანვე ჩაერთოს მკურნალობაში, ადრეული ასაკიდანვე მოხდეს ანომალური პატერნების ჩამოყალიბების ადეკვატური მართვა. დადგინდა, რომ მიზანმიმართული და მიზანზე ორიენტირებული ფიზიკური თერაპია ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.



ANA CHOCHIA^{1,2}, DAVID ZURABASHVILI^{2,3}, NANA KAPANADZE⁴

Zn AND Cu LEVELS IN THE BLOOD PLASMA IN CHILDREN WITH ATTENTION DEFICIT AND HYPERACTIVITY DISORDER (ADHD) WHOSE MOTHERS SMOKED DAILY DURING PREGNANCY

¹Tbilisi Balneological Resort, Georgia; ²Center for Mental Health and Prevention of Addiction, Tbilisi, Georgia; ³I. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; ⁴Tbilisi State Medical University, Georgia
 Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.02>

ანა ჩოჩია^{1,2}, დავით ზურაბაშვილი^{2,3}, ნანა კაპანაძე⁴

Zn, Cu-ის შემცველობა ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვების სისხლის პლაზმაში, რომელთა დედები ორსულობის პერიოდში მუდმივად ეწეოდნენ სიგარეტს

¹თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, საქართველო; ²ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, თბილისი, საქართველო; ³ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; ⁴თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

რეზიუმე

განისაზღვრა თუთიის და სპილენძის შემცველობა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვების სისხლის პლაზმაში და მიღებული მონაცემები შედარებულ იქნა იმ ბავშვებთან, რომელთა დედებმაც ორსულობის პერიოდში მუდმივად ეწეოდნენ

ან არ ეწეოდნენ სიგარეტს. თუთიის დეფიციტი აღმოჩენილ იქნა ყველა გამოკვლეული ბავშვის სისხლის პლაზმაში, თუმცა მეტად გამოხატული იყო იმ ბავშვებში, რომელთა დედებიც ორსულობის პერიოდში ეწეოდნენ სიგარეტს. სპილენძის შემცველობა ყველა გამოკვლეული ბავშვის სისხლის პლაზმაში შეესაბამებოდა ასაკობრივ ნორმას. აუცილებელია ქცევითი აშლილობების (ადგილობრივი ან სპეციფიკური) განვითარებაში მონაწილე მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობების დიფერენცირება.

During the development of the children neurotic spectrum disorders usually occur, which manifest in characteristic behavioral changes, hyperactivity, impulsivity, and attention deficit (ADHD syndrome). The global prevalence of ADHD is 3-10%. In Georgia, ADHD syndrome is diagnosed in 4% of preschool and early school-age children [3].

The etiology of the syndrome involves many similar and overlapping factors: genetic risks, neuroanatomical, and neurochemical processes, among which essential microelements - particularly zinc - are especially important. The impact of the environment on a child's health and development is multifactorial. An important environmental factor that increases the risk of developing ADHD is nicotine exposure. This is primarily associated with maternal smoking during pregnancy or in the presence of the child (active and passive smoking, mainstream tobacco smoke) [4].

Purpose of the study was to determine the levels of zinc (Zn) and copper (Cu) in the blood plasma of children with ADHD whose mothers smoked consistently during pregnancy. The data were compared with those of children with ADHD whose mothers did not smoke during pregnancy.

Material and Methods. The study involved children aged 5-6 years with ADHD syndrome (Diagnostic criteria DSM-V), whose mothers smoked continuously during pregnancy (target group-N 19). As well as in the study were involved 39 children of the same age with ADHD whose mothers never smoke at all and were always in the fresh air during pregnancy (control group).

Trace elements (Zn, Cu) in the blood plasma in children with ADHD were identified using a Perkin Elmer 3100 atomic absorption spectrometer. The obtained data were analyzed using the IBM OASIS-740 computer software, version 4 (USA).

According to clinical data [2], the target group was divided into three subgroups: (1) Children with predominantly hyperactive-impulsive symptoms (7 children); (2) Children with pronounced attention deficit (6 children); (3) Children with mild behavioral and attention disorders (6 children). The control group consisted of 39 children with ADHD whose mothers never smoked.

Results: According to the obtained data, Zn level in the blood plasma of children of the first target subgroup did not exceed 8.6 ± 0.2 micromol/l, and the Cu was 14.1 ± 0.3 micromol/l. In children of the second target subgroup, Zn was 9.1 ± 0.3 micromol/l, and Cu was 13.4 ± 0.1 micromol/l. In children of the third target subgroup, Zn did not exceed 9.2 ± 0.2 micromol/l in the blood plasma and Cu was 13.2 ± 0.2 micromol/l. In the control group, Zn level also did not exceed 10.1 ± 0.1 micromol/l in the blood plasma, and the Cu was 13.6 ± 0.2 micromol/l.

Thus, in all the examined children with ADHD, the Zn level in the blood plasma is lower ($P < 0.001$) than the age standards accepted in medical practice (13.01 ± 0.6 micromol/l). At the same time, children with ADHD whose mothers did not smoke during pregnancy, had significantly higher Zn level in the blood plasma ($P < 0.01$) compared to children whose mothers smoked.

The following difference also attracts attention. The Zn content in the blood plasma in the first target subgroup was significantly lower ($P < 0.01$) compared to the second and third target subgroups. Cu level in the plasma in all subgroups was within age-related norms.

Conclusion: Zn deficiency in blood plasma was detected in the children of the target and control groups. Cu level in the blood plasma of all groups children corresponded to the accepted age standards

(13.02 ± 0.7 micromol/l). The decrease of Zn level was more pronounced in children whose mothers were constant smokers. Zinc and copper belong to a same chemical group [1], have similar mechanisms of absorption, and compete in most cases. Therefore, the deficiency of one of them is significant. It is necessary to differentiate the cause-and-effect relationships involved in the development of behavioral disorders (whether local or specific).

References

1. Badru A.A., Kukoyi B.I., Ukponmwan O.E. Some effects of zinc on maternal and fetal integrity in pregnancy. *Nigerian Journal of Physiological Sciences*. 2006,21(1-2); 91-97.
2. Baek M., Chung H.E., et al. Pharmacokinetics tissue distribution and excretion of zinc oxide nanoparticles. *Int.I: Nanomedicine*. 2012,7:3081-3097.
3. Gabunia A. et al. Adaptation of the Strength and Difficulties Questionnaire for use in the Republic of Georgia Original Article. *Alpha Psychiatry*. 2023;24(4):128-135.
4. Oberlis D., Harland B., Skalny A. The biological role of macro- and microelements for humans and animals. St. Petersburg; Nauka: 2018; 554p.

ANA CHOCHIA^{1,2}, *DAVID ZURABASHVILI*^{2,3}, *NANA KAPANADZE*⁴

Zn AND Cu LEVELS IN THE BLOOD PLASMA IN CHILDREN WITH ATTENTION DEFICIT AND HYPERACTIVITY DISORDER (ADHD) WHOSE MOTHERS SMOKED DAILY DURING PREGNANCY

¹Tbilisi Balneological Resort, Georgia; ²Center for Mental Health and Prevention of Addiction, Tbilisi, Georgia; ³I. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; ⁴Tbilisi State Medical University, Georgia

SUMMARY

It was determined Zn and Cu level in the blood plasma in children with ADHD syndrome, whose mothers smoked constantly during pregnancy. The obtained data were compared with the data of children with ADHD, whose mothers never smoked during pregnancy. Zinc deficiency was detected in the blood plasma of all the examined children. The decrease in Zn level was more pronounced in children whose mothers smoked during pregnancy. Cu level in the blood plasma corresponded to age standards in all the examined children. It is necessary to differentiate the cause-and-effect relationships involved in the development of behavioral disorders (local or specific).

Keywords: microelements, Zn, Cu, ADHD, blood plasma



ქეთევან ხაზარაძე ¹, ნინო ჯაფარიძე ², აზა რევიშვილი ¹, ირინა ჯავახიშვილი ³

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება

სპორტსმენთა პერსონალიზებული კვების შემუშავებისას

¹საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

²თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,

³თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.03>

KETEVAN KHAZARADZE ¹, NINO JAPARIDZE ², AZA REVISHVILI ¹, IRINA JAVAKHISHVILI ³ APPLICATION OF ARTIFICIAL INTELLIGENCE IN THE DEVELOPMENT OF PERSONALIZED NUTRITION FOR ATHLETES

¹Georgian State University of Physical Education and Sport;

²Tbilisi State Medical University, ³Tbilisi Humanitarian University

SUMMARY

The purpose of our research was to evaluate the completeness of the nutritional ration in different types of athletes, according to their knowledge and perception, to determine whether they use modern technologies in the preparation of the nutritional ration.

The research conducted suggests that artificial intelligence (AI) is increasingly penetrating the fields of sports and health, in the direction of personalized healthcare. The use of AI is important in order to develop personalized nutritional assessments identifying everyone's most influential and least risky ingredients. This approach enhances performance and reduces the risk of nutrient deficiencies and related health issues. This paper explores the multifaceted role of AI in these domains, emphasizing its contributions to athlete training, real-time monitoring, and rehabilitation processes.

Keywords: Sport, Nutrition, AI (artificial intelligence), nutrition

თანამედროვე საზოგადოებაში სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებში. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ხელოვნური ინტელექტის გავლენის გაფართოება და მოცვის ზრდა სპორტული მიღწევების კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ სპორტულ კვებაში ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა მისი პერსონალიზებული დიეტური რეკომენდაციების მიწოდების უნარია. როგორც ცნობილია, ტრადიციული რეკომენდაციები ხშირად ვერ ითვალისწინებს სრულფასოვნად ადამიანის გენეტიკის, მეტაბოლიზმის თავისებურებებს, ასევე თითოეული ინდივიდის ცხოვრების წესის განსხვავებებს. ხელოვნური ინტელექტი ამ პრობლემებს უმკლავდება მონაცემთა ბაზის ანალიზით [4].

ხელოვნური ინტელექტი უპრეცედენტო შესაძლებლობებს სთავაზობს პერსონალიზებული კვების, ტრავმების პრევენციის, შესრულების გაუმჯობესებისა და აღდგენისთვის. ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ იყენებენ სპორტული ნუტრიციოლოგები ხელოვნურ ინტელექტს თავიანთი პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, რა სარგებელი და გამოწვევები მოყვება მას.

ჯერ კიდევ სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებებიდან იწყება ზრუნვა ჯანსაღი კვების უნარების ჩამოყალიბებაზე და ეს ყველაფერი მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც. სპორტსმენთა აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღ კვებას და კვებითი უნარ-ჩვევების სწორ ჩამოყალიბებას ადრეული ასაკიდან [1].

მიზანი და ამოცანები: ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვეფასებინა სხვადასხვა ტიპის სპორტსმენებში, მათი ცოდნისა და აღქმის მიხედვით, კვების რაციონის სრულფასოვნება, დაგვედგინა თუ იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს კვების რაციონის შედგენისას.

მეთოდი: კვლევა ჩატარდა ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით, 2025 წლის 30 მარტიდან 20 მაისის ჩათვლით პერიოდში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 134-მა სპორტსმენმა, რომლებიც

აქტიურად არიან სპორტში ჩართული (მძლეოსნობა, ტანვარჯიში, რაგბი, კალათბურთი, ფრენბურთი, ძიუდო, აღმოსავლეთ ორთაბრძოლა, ცურვა, კრივი, ხელბურთი, წყალბურთი, ფიტნესი). ყველა სპორტსმენისგან მიღებულ იქნა ინფორმირებული თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე. კითხვარი აფასებდა ინფორმაციას სპორტსმენის წონის, სიმაღლის, ასაკის, სქესის, განათლების, სპორტის სახეობის, ვარჯიშის რეჟიმის, კვების რეჟიმისა და თავისებურებებს შესახებ. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარი.

კვლევის შედეგები და განხილვა: საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სპორტსმენთა გამოკითხვა ჩატარდა ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. გამოკითხვა ეხებოდა სპორტსმენთა კვებას და საკვები დანამატების მოხმარებას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აუცილებელია სპორტსმენებისათვის და მათი ტრენერებისათვის ინფორმაციის ფლობა თანამედროვე საკვებ დანამატებზე და მათი ზუსტი მოხმარების წესებზე, განსაკუთრებით პერსონალიზებული კვების დროს.

ზოგიერთი კომპანია ხელოვნურ ინტელექტს იყენებს პერსონალიზებული კვებითი შეფასებების შემუშავებისთვის, რომლებიც თითოეული ინდივიდის ყველაზე გავლენიან და ნაკლებად სარისკო ინგრედიენტებს აღგენს. ეს მიდგომა აუმჯობესებს მუშაობას და ამცირებს საკვები ნივთიერებების დეფიციტს და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების რისკს [3].

ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება კვებაში მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის პრობლემების იდენტიფიცირებასა და პროგნოზირებაში, ასევე კვების მონაცემთა ბაზების ანალიზში. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები აუცილებელია, რადგან კვების კვლევის დღის წესრიგი აფართოებს თავის მასშტაბებს, რათა შეისწავლოს საკვებსა და ჯანმრთელობას შორის კავშირი, როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოებრივ კონტექსტში [2].

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კვლევაში მონაწილე ყველა სპორტსმენი ფლობდა ზოგად ინფორმაციას საკვებ დანამატებთან დაკავშირებით, დანაწევრებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საკვები რაციონის შედგენისას, თუმცა მცირე მასშტაბებით. სპორტსმენები გამოხატავენ მზაობას მიიღონ დამატებითი ინფორმაცია საკვების და სპორტული დანამატების შემადგენლობის, ნაირსახეობებისა და ადამიანის ორგანიზმზე მისი გავლენის შესახებ. აღსანიშნავია, რომ დროული პრევენცია განსაკუთრებით მოზარდებზე უნდა იყოს მიმართული, საკვები დანამატების არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებით. სათანადო კვება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოზარდი სპორტსმენებისთვის, რათა მათ მიაღწიონ სათანადო ზრდას და ოპტიმალურად ითამაშონ სპორტში.

დასკვნა. ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელოვნური ინტელექტი (AI) სულ უფრო მეტად იჭრება სპორტისა და ჯანმრთელობის სფეროებში, პერსონალიზებული ჯანდაცვის მიმართულებით. ხელოვნური ინტელექტის მრავალმხრივ როლს ამ სფეროებში, ხაზს უსვამს მისი წვლილი სპორტსმენების ვარჯიშში, რეალურ დროში მონიტორინგსა და რეაბილიტაციის პროცესებში. სპორტში, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სისტემები აანალიზებენ მონაცემთა უზარმაზარ ნაკრებებს ვარჯიშის რეჟიმების ოპტიმიზაციისთვის, გადანაცვლებების მიღების გაუმჯობესებისა და დაზიანების რისკების პროგნოზირებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვების გაიდლაინი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2016 წ., გვ. 31-36.
2. Hanin Kassem et al. Investigation and Assessment of AI's Role in Nutrition—An Updated Narrative Review of the Evidence, *Nutrients*, 2025 Jan 5;17(1):190.

3. Bhavishya Katta, Venkata Chaitanya Kumar Suram, Narsimha Chary Rajampetakasham, Mounika Nalluri, Chinna babu Mupparaju, PERSONALIZED NUTRITION WITH AI: INVESTIGATE HOW AI CAN BE USED TO ANALYZE INDIVIDUALS' DIETARY HABITS, HEALTH DATA, AND GENETIC INFORMATION Pakistan Heart J 2024;57(01):18-25.
4. Adam Popek, The Role of AI in Sport and Health. University of Physical Education in Krakow, Sport Studies, Poland Submission: November 19, 2024; Published: November 29, 2024

ქეთევან ხაზარაძე ¹, ნინო ჯაფარიძე ², ამა რევიშვილი ¹, ირინა ჯაფახიშვილი ³

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება

სპორტსმენთა პერსონალიზებული კვების შემუშავებისას

¹საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

²თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,

³თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ჩვენი კვლევის მიზანი იყო სხვადასხვა ტიპის სპორტსმენებში კვებითი რაციონის სისრულის შეფასება, მათი ცოდნისა და აღქმის მიხედვით, რათა დადგინდეს, იყენებენ თუ არა ისინი თანამედროვე ტექნოლოგიებს კვებითი რაციონის მომზადებისას.

ჩატარებული კვლევა მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტი (AI) სულ უფრო მეტად იჭრება სპორტისა და ჯანმრთელობის სფეროებში, პერსონალიზებული ჯანდაცვის მიმართულებით. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მნიშვნელოვანია პერსონალიზებული კვებითი შეფასებების შესამუშავებლად, რომლებიც გამოავლენს თითოეული ინდივიდის ყველაზე გავლენიან და ნაკლებად სარისკო ინგრედიენტებს. ეს მიდგომა აუმჯობესებს შესრულებას და ამცირებს საკვები ნივთიერებების დეფიციტის და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების რისკს. ეს ნაშრომი იკვლევს ხელოვნური ინტელექტის მრავალმხრივ როლს ამ სფეროებში, ხაზს უსვამს მის წვლილს სპორტსმენების ვარჯიშში, რეალურ დროში მონიტორინგსა და რეაბილიტაციის პროცესებში.



ლელა მურუსიძე ¹, ქეთევან ხაზარაძე ², ეკატერინე მურუსიძე ¹,

ავთანდილ გულიაშვილი ¹, ზურაბ სულუხია ¹, მაია კერკენჯია ²

რაჭა-ეკოლოგია და ტურიზმი

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ²საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.04>

LELA MURUSIDZE ¹, KETEVAN KHAZARADZE ², EKATERINE MURUSIDZE ¹,

AVTANDIL GULIASHVILI ¹, ZURAB SULUKHIA ¹, MAIA KERKENJIA ²


RACHA - ECOLOGY AND TOURISM

¹Tbilisi State Medical University; ²Georgian State University of Physical Education and Sport; Georgia

SUMMARY

Racha is one of the most unique and ecologically valuable regions in Georgia. The article presents the ecological situation of Racha. It is distinguished by beautiful landscapes, healthy climate and numerous springs. The positive beneficial properties of the mountain climate - clean air, sun, moderate temperatures in summer, also contribute to recreation, and therefore the development of tourism, including medical tourism.

Keywords: ecotourism, resort tourism, medical tourism



საქართველოს ულამაზესი კუთხე რაჭა მოიცავს ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებს, ბუნებრივი რესურსები, ბიომრავალფეროვნება, კლიმატური პირობები და გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს მის განსაკუთრებულ ეკოლოგიურ ღირებულებას. ტერიტორია მთავორიანია და ხასიათდება მდინარეების, ტბებისა და ტყეების სიმრავლით, მის ტერიტორიაზე მდებარეობს რიონი, შაორის ტბა და მრავალი სხვა ჰიდროგრაფიული ობიექტი, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ რეგიონის კლიმატურ და ეკოლოგიურ მახასიათებლებზე.

კვლევის მიზანი: რაჭის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება ტურიზმის განვითარებაში. ისტორია და მისი ისტორიული ძეგლები, ეკონომიკური რესურსების შეფასება, მეღვინეობა რაჭაში, ტურისტული პოტენციალი.

კვლევის მეთოდები: მიმოხილვითი კვლევა, დოკუმენტური და ეკონომიკური ანალიზი.

რაჭა მაღალი გეოლოგიური აქტივობის ზონაა. საჭიროა სისტემატური დაკვირვება და რისკების მართვის სტრატეგია. რაჭის კლიმატში შეინიშნება მყინვარების დნობა, ატმოსფერული ნალექების რაოდენობის მატება, ეს ყველაფერი გავლენას ახდენს ჰიდროლოგიურ რეჟიმზე და ზრდის სტიქიური პროცესების ალბათობას. რაჭის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, მიმზიდველი ბუნება, კლიმატური პირობები, მთის სუფთა ჰაერი, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეების სიხშირე, კულტურული ძეგლების სიმრავლე, მინერალური წყლებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების სიუხვე, ქმნის უნიკალურ პირობებს სხვადასხვა სახის ტურიზმის (საავტომობილო, საცხენოსნო, საფეხმავლო და სამონადირეო ტურიზმი, ეკოტურიზმი, სამედიცინო ტურიზმი და სხვ.) განვითარებისათვის. რეგიონის კურორტებია შოვი, უნერა, ქვეშაკე, ხიდიკარი, ბუგეული. რეგიონში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა, დიდია სახელმწიფოს როლი სხვადასხვა პროექტების და პროგრამების ხელშეწყობაში [6]. რეგიონის ტყეებსა და ალპურ ზონებში ბინადრობენ იშვიათი და ენდემური სახეობები. გვხვდება წითელი ნუსხის ცხოველები და მცენარეები, მათ შორის კავკასიური არჩვი, დათვი, ჯიხვი და სხვადასხვა ენდემური ფრინველი. იგეგმება დაცული ტერიტორიების გაფართოება, რაც ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას შეუწყობს ხელს. ეკოტურიზმი რაჭისთვის დიდ პოტენციალს წარმოადგენს, თუმცა აუცილებელია მისი რეგულირება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება [1].

რაჭის ჰავა ზომიერად ტენიანი და თბილია. ნალექების წლიური ჯამი იცვლება 800-1200 მმ-ის ფარგლებში. რაჭა მთლიანად მდებარეობს მდინარე რიონის აუზში, რაჭის ქვაბულში, რომელიც მოქცეულია ლეჩხუმისა და რაჭის ქედებს შორის. მაქსიმალურ სიმაღლეს აღწევს ჩრდილო-აღმოსავლეთით მწვერვალ ჭანჭახისწერზე 4462 მ. მამისონის უღელტეხილით უკავშირდება ჩრდილოეთ ოსეთს, ხოლო ნაქერალას უღელტეხილით იმერეთს.

რაჭა გამოირჩეულია ტყის რესურსებით. 60%-ზე მეტი ხელოვნური ტყეებია, გვხვდება ხელოვნურად გაშენებული წიწვოვანი (კედარის) ტყეები, გარდა სამრეწველო პოტენციალისა, უნდა აღინიშნოს მათი ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, კლიმატმარეგულირებელი ფუნქციები

[3]. რაჭა მდიდარია წყლის რესურსებით, რომლის 99% ჰიდროენერგეტიკაში გამოიყენება. წყლის ძირითადი არტერიაა მდ. რიონი თავისი შენაკადებით: ჯეჯორა, ჭანჭახი, შარეულა და სხვ. შაორის წყალსაცავის წყლის საერთო მოცულობა 90 მლნ კმ. მდიდარია ბუნებრივი წყაროებით, ასამდე სამკურნალო-მინერალური და გოგირდოვანი წყლით, საკურორტო ადგილებით. კურორტ უნერაში 28 სახის მინერალური წყლის საერთო დღელამური დეპეტი 800 ტონაა. ისინი მდიდარია კალციუმით, რკინით, იოდით და სხვა მინერალებით. შოვში გამოკვლეულია 16 სახის მინერალური წყარო, რომელთა დღელამური დეპეტი 150 ტონაა. შეიცავს კალციუმს, ნატრიუმს, რკინას, მაგნიუმს, ქლორს და სხვ. შესაძლებელია სამთო-სათხილამურო კურორტების მშენებლობა [5].

შაორის წყალსაცავი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ულამაზესი ადგილია, რომლის ირგვლივ გვხვდება უნიკალური ჭიმის ტყეები და კულტურულ-ისტორიული ძეგლები. შაორზე არსებობს პოტენციური ყველა სეზონის ტურიზმის განვითარებისთვის. რაჭას საქართველოს ჰიდროენერგეტიკისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. ენერგეტიკის ძირითადი ობიექტია ჰიდროელექტროსადგური ამბროლაურში რეცეულაჰესი 6,1 მგვტ [2]. რეგიონს აქვს საკმარისი პოტენციური მზის ენერგიის გამოყენების მიმართულებით, რომლის დღიური მაჩვენებელი 4,2-4,5 კვტს/მ²-ია.

რაჭაში მუშაობს საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო. მიმდინარეობს მონიტორინგის სისტემების მოქმედება და გეოგრაფიული კვლევები. ეკოტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ბუნების კონსერვაციას და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას. 2023-2024 წლებში გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა მასშტაბური გეოლოგიური კვლევები, რომელთა საფუძველზე შედგა მასშტაბური რუკები (1:200,000). აღნიშნული კვლევები წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს რეგიონალური განვითარებისთვის, რადგან შესაძლებელი ხდება სტიქიური საფრთხეების იდენტიფიკაცია, პრევენციული ზომების დაგეგმვა და ეკოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბება [4].

რაჭაში წიაღისეული საბადოებია: დარიშხნის საბადო, ლითონური: მანგანუმი - შქმერში, ოქრო, დარიშხანი - ლუხუნში, ვერცხლისწყალი კოლიძირში და არაღივითონური წიაღისეული: ქვანახშირი, თაბაშირი, ბარიტი - ჩორდში. მდიდარია საშენი მასალებით: ქვიშა, ხრეში, კირქვა.

რაჭაში იგეგმება ჰიდრომეტეო სადგურების დამონტაჟება, მენყერული მონიტორინგის სისტემების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს საფრთხეების დროულ იდენტიფიკაციას და მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდას. რაჭის ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობას, მევენახეობას, მეცხოველეობას, მეფუტკრეობას, მეთევზეობას. რეგიონში წარმოების ძირითადი დარგებია: ელექტროენერგიის და წყლის წარმოება, ხე-ტყის წარმოება, ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელის წარმოება, პურისა და ფუნთუშეულის წარმოება, უალკოჰოლო სასმელის წარმოება, სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და ჩირის წარმოება. რაჭა ცნობილია ღვინო "ხვანჭკარას" წარმოებით [6].

რაჭა მდიდარია უძველესი ისტორიული ძეგლებით, აღსანიშნავია 1014 წელს აგებული ნიკორწმინდის ტაძარი; ბარაკონი, ძველი ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უკანასკნელი ძეგლი რაჭაში. ფუნქციონირებს რამდენიმე კომფორტული სასტუმრო: ამბროლაურში, ონში, შოვში, უნერაში. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ქ. ამბროლაურში ფუნქციონირება დაიწყო ტურიზმის საინფორმაციო ცენტრმა.

კვლევის შედეგები: ტურიზმის სარგებლიანობა ქვეყნისთვის გამოიხატება ეკონომიკური, სოციალ-კულტურული და გარემოს გაუმჯობესების კუთხით. ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას (სასტუმროს პერსონალი, სარესტორნე პერსონალი, საბანკო პერსონალი და სხვ.). სამკურნალო ტურიზმის განვითარება შესაბამისად საჭიროებს სამედიცინო პერსონალის რაოდენობის ზრდას.

რაჭის ეკოლოგიური მდგომარეობა მოითხოვს გრძელვადიან დაგეგმვას, რეგიონულ თანამშრომლობასა და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დამყარებულ პოლიტიკას. არსებული სტიქიური და ეკოლოგიური საფრთხეების ფონზე, აუცილებელია სახელმწიფოს, საზოგადოებისა და საერთაშორისო პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევა რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების შენარჩუნებისთვის.

რეკომენდაციები

- გრძელვადიანი გარემოს დაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბება;
- სტიქიური საფრთხეების პრევენცია ტექნოლოგიური მონიტორინგის სისტემებით;
- ადგილობრივი თემების განათლების და ინფორმირების ხელშეწყობა;
- ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
- სამკურნალო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გარემოს ეროვნული სააგენტო: <https://nea.gov.ge/Ge/News/1293>
2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო:
3. <https://mepa.gov.ge/ge/News/Details/21710>
4. <https://commerciant.ge/news/society/2024-tslis-bolos-qveynis-masshtabit-245-dakvirvebis-hidrometeo-sadguri>.
5. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის NCDC, მსოფლიო ბანკის და გაეროს სტატისტიკურ მონაცემთა ბაზები.
6. Caucasus Medical Network. www.medgeo.net

ლელა მურუსიძე ¹, ქეთევან ხაზარაძე ², ეკატერინე მურუსიძე ¹,
 ავთანდილ გულიაშვილი ¹, ზურაბ სულუხია ¹, მაია კერკენჯია ²

რაჭა-ეკოლოგია და ტურიზმი

¹ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ² საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი, საქართველო

რეზიუმე

რაჭა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უნიკალურ და ეკოლოგიურად ღირებულ რეგიონს საქართველოში. სტატიაში წარმოდგენილია რაჭის ეკოლოგიური მდგომარეობა. ის გამოირჩევა ულამაზესი ლანდშაფტებით, ჯანმრთელი ჰავითა და მრავალრიცხოვანი წყაროებით. მთის ჰავის დადებითი სასარგებლო თვისებები - სუფთა ჰაერი, მზე, ზაფხულში ზომიერი ტემპერატურა, ასევე ხელს უწყობს დასვენებას, შესაბამისად, ტურიზმის განვითარებას, მათ შორის სამედიცინო ტურიზმისაც.



ლაშა ჭელიძე¹, ნინო ადამია², დავით მახათაძე³, დავით ცხომელიძე¹,
ნატალია ჭილაძე¹, ნინო ხარაძე¹

კრონის დაავადება XXI საუკუნეში: იმუნოპათოფიზიოლოგია და დიაგნოსტიკის თანამედროვე პერიპერტები

¹ თსუ, სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი; ² მ. იაშვილის სახელობის
ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, პედიატრიის დეპარტამენტი; ³ მ. იაშვილის სახელობის
ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, გასტროენტეროლოგიის დეპარტამენტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.05>

LASHA TCHELIDZE¹, NINO ADAMIA², DAVID MAKHATADZE³, DAVID TSKHOMELIDZE¹,
NATALIA TCHILADZE¹, NINO KHARADZE¹

CROHN'S DISEASE IN THE 21ST CENTURY: IMMUNOPATHOPHYSIOLOGY AND MODERN HORIZONS OF DIAGNOSTICS

¹ TSMU, Department of Medical Biology and Parasitology; ² M. Iashvili Central Children's Hospital,
Department of Pediatrics; ³ M. Iashvili Central Children's Hospital, Department of Gastroenterology

SUMMARY

Over the past twenty years, up to 15 cases of Crohn's disease were recorded at the Iashvili Children's Central Clinic. The study aimed to analyze 5 clinical instances registered in the recent past, determining gender and ethnic preferences, assessing patients using the Pediatric Crohn's Disease Severity Index, Montreal Classification, and Lehman Index, and to identify prognostic criteria.

Based on the analysis of the medical histories of five patients, we found that the disease was more common in females (3:2). Two patients had mild to moderate Crohn's disease (PCDAI score range - 10 - 37.5), their assessment according to the Montreal classification was A1L2 and A2L2. The Lehman Index, which shows the degree of damage to the digestive tract in Crohn's disease, was not determined due to the absence of surgical intervention. Three patients had a relatively severe form of Crohn's disease (PCDAI score range - >40), we confirmed the presence of fistula in two of them, and stricture in one of them by the Montreal classification. The Lehman index was approximately in the middle of the internationally recognized border - 0.2-12.6. Extraintestinal clinical manifestations such as anemia and arthritis were detected in the latter patients.

Conclusions. Our study showed that Crohn's disease is actively progressing in pediatric age. In the patients we studied who required surgical intervention, the disease was accompanied by various extraintestinal clinical manifestations. A high score of pediatric Crohn's disease severity, assessment of patients by the Montreal classification (various ALB variants) and a high Lehman index indicate a relatively more severe course of the disease and require careful treatment. The main line of treatment in patients with mild disease was prednisolone, and in patients with severe disease was infliximab.

Keywords: Crohn's disease, Immunopathophysiology, modern horizons, diagnostics

შესავალი. კრონის დაავადება (CD) არის ქრონიკული აუტოიმუნური ანთებითი გრანულომატოზური დაავადება, რომელიც აზიანებს მთლიან საჭმლის მომნელებელ ტრაქტს, განსაკუთრებით კი, თქმის ნაწლავის ტერმინალურ ნაწილსა და მსხვილ ნაწლავს. აღნიშნული დაავადების დროს, პაციენტების უმეტესობას "ანთებითი ფენოტიპი" აღენიშნება, თუმცა ისეთი გართულებები, როგორებიცაა, სტრიქტურები, ფისტულები და აბსცესები ვითარდება პაციენტთა ნახევარში და საჭიროებს ქირურგიულ ჩარევას. მისი ეტიოლოგია მულტიფაქტორულია და მოიცავს როგორც გენეტიკურ და იმუნოლოგიურ, ისე გარემო ფაქტორებს. გამოვლენილია HLA-ის რამდენიმე სეროტიპი, რომლებიც ასოცირებულია CD-ის განვითარებასთან. 2018 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, კავკასიელი წარმოშობის პირებში HLA-DR2 და HLA-DR13 სეროტიპის მქონე ადამიანები კრონის დაავადების განვითარების დიდი რისკის ქვეშ იმყოფებიან. გარემო ფაქტორები კი იწვევენ ეპიგენეტიკურ ცვლილებებს, კერძოდ, ღმმ-ის მეთილირებასა და

ჰისტონების მოდიფიკაციას. ეს ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა თამბაქოს მოწევა, მედიკამენტები, არასწორი კვება, თუთიის, რკინისა და D ვიტამინის ნაკლებობა. დაავადების იმუნოპათოფიზიოლოგია მოიცავს აუტორეაქტიული T უჯრედების წარმოქმნას, მკვიდრი იმუნური უჯრედებიდან T უჯრედების ახალი სუბპოპულაციების ჩამოყალიბებას, Th1 და Th17 უჯრედების დიდი რაოდენობით წარმოქმნას, ანთებითი ციტოკინების გამოთავისუფლებას და მიკრობების მიერ ანთების მასშტაბის გაზრდასა და საბოლოოდ, ორგანოს დაზიანებას. უკანასკნელი კვლევებით დადასტურებულია მიკროორგანიზმების როლი დაავადების იმუნოპათოფიზიოლოგიაში. კრონის დაავადების იმუნოლოგიურ პათოგენეზში მნიშვნელოვანი როლი აქვს გამაპროტეობაქტერიების, აქტინობაქტერიებისა და კაუდოვირუსების რაოდენობის მატებას, ხოლო არაპათოგენური სასარგებლო ბაქტერიების - შემცირებას. კრონის დაავადების იმუნოპათოფიზიოლოგიაში ასევე დიდი როლი აღმოაჩნდა: ლორწოვანი ბარიერის დეფექტებს (Muc2, FUT2 გენები); T ჰელპერების გაზრდილ მიგრაციასა და ციტოკინების მასობრივ პროდუქციას (IL-12, IL-34, IL-23); უჯრედშორისი მატრიქსის პროტეოგლიკანების ჩართულობას (დეკორინი); ადჰეზიური მოლეკულების ჰიპექსპრესიას (MAdCAM-01, α4β4 ინტეგრინი). დაავადება ნებისმიერ ასაკში შეიძლება განვითარდეს. დაავადება ორივე სქესის წარმომადგენლებში გვხვდება თითქმის თანაბარი სიხშირით. უფრო ხშირად გვხვდება კანადაში, ავსტრალიაში, ჩრდილოეთ ევროპაში. საქართველოში დაავადების ზუსტი გავრცელება უცნობია.

მეთოდები. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ კლინიკაში დაფიქსირდა კრონის დაავადების 15-მდე შემთხვევა. **კვლევის მიზანი** გახლდათ უახლეს წარსულში რეგისტრირებული 5 კლინიკური შემთხვევის ანალიზი სქესისა და ეთნიკური უპირატესობების განსაზღვრით, პედიატრიული კრონის დაავადების სიმწვავის ინდექსით, მონრეალის კლასიფიკაციით, ასევე ლემანის ინდექსით პაციენტთა შეფასება და პროგნოზული კრიტერიუმების ინდეტიფიცირება. თანამედროვე მსოფლიოში უკვე აქტიურად გამოიყენება პაციენტთა შეფასება მონრეალის კლასიფიკაციით, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს პაციენტის ასაკზე, დაავადების ლოკალიზაციასა და ქირურგიული ჩარევის საჭიროებაზე.

Montreal classification	
Age at diagnosis	
<16 years	A1
17-40 years	A2
>40 years	A3
Disease location	
Ileal disease	L1
Colonic disease	L2
Ileocolonic disease	L3
Upper-isolated gastrointestinal disease*	L4
Disease behaviour	
Non-stricturing and non-penetrating	B1
Stricturing	B2
Penetrating	B3
Perianal disease†	p

სურ. N1. მონრეალის კლასიფიკაცია

2012 წელს დაბადებულ მდედრობითი სქესის პაციენტს 2023 წელს დაესვა კრონის დაავადება (პაციენტი N1). კონსულტაციის თარიღი: 2023 წელი. დაავადების ლოკალიზაცია: მსხვილ ნაწლავში და გაურთულებელი მდგომარეობით. მონრეალის კლასიფიკაციით მისი შეფასება იქნება: A1L2B1.

კლინიკის პერსპექტივიდან, ამ დაავადების ზუსტ კლასიფიკაციას აქვს სარგებელი პაციენტთა კონსულტაციის, დაავადების პროგნოზის შეფასებისა და დაავადების თითოეული ქვეტიპისთვის ყველაზე შესაფერისი თერაპიის არჩევისას.

ლემანის ინდექსი არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს კრონის დაავადების დროს რა დონით არის დაზიანებული საჭმლის მომნელებელი ტრაქტი. კონკრეტულად განსაზღვრავს, ქირურგიული ჩარევის საჭიროებას. ლემანის ინდექსის (LI) მიზანია შეაფასოს დაზიანების მთლიანი მაჩვენებელი CD-ში. ის აკავშირებს კლინიკურ, ქირურგიულ, ენდოსკოპიურ და ვიზუალიზაციის შედეგებს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ყველა სეგმენტიდან ერთ კომპოზიტურ ქულაში და გვიჩვენებს სიმძიმეს და, შესაბამისად, ქირურგიული ჩარევის საჭიროებას.

Lemann index Calculated investigator organ damage evaluation				
Small bowel	0.43	0.06	0.03	4.5 (FINAL)
Colon/rectum	0.32	0.03	0.01	3 (FINAL)
Anus	0.30	0.01	0.02	3 (FINAL)

სურ. N2. ლემანის ინდექსის ფინალური კოეფიციენტები

2008 წელს დაბადებულ მამრობითი სქესის პაციენტს 2015 წელს დაესვა კრონის დაავადება. კონსულტაციის თარიღი: 2024 წელი. (პაციენტი N2). დაავადების ლოკალიზაცია: *ანუსში და გართულებული შარდის ბუშტ-ანალური ფისტულით. ორგანოს დაზიანების ინდექსის ფინალური კოეფიციენტი - 3. Lemann Index = 3.*

პედიატრიული კრონის დაავადების აქტივობის ინდექსი (PCDAI) გამოიყენება როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი დაავადების აქტივობის შესაფასებლად პედიატრიული კრონის დაავადების კლინიკურ კვლევებში/პრაქტიკაში.

2013 წელს დაბადებული მდედრობითი სქესის პაციენტს 2022 წელს დაესვა კრონის დაავადება. (პაციენტი N3). კონსულტაციის თარიღი: 2024 წელი. დაავადების ლოკალიზაცია: წვრილი ნაწლავის მღივი ნაწლავის დასაწყისი. პაციენტის სამედიცინო ისტორიაზე დაყრდნობით, შემოსვლის დღეს მისი PCDAI იყო: 17.5. აღნიშნულის გამოთვლა შესაძლებელია ელექტრონულად, სადაც უნდა შეივსოს პაციენტის ზოგადი ანთროპომეტრული მახასიათებლები და პარაკლინიკური მონაცემები. მოცემული ქულა დაავადების საშუალო სიმძიმის გამომხატველია.

დასკვნა

- კრონის დაავადება აუტოიმუნური ქრონიკული ანთებითი გრანულომატოზური დაავადებაა, რომლის ეტიოლოგია მულტიფაქტორულია. მისი პათოგენები რთულია და მოიცავს იმუნოლოგიურ და გენეტიკურ ტანდემს;
- თანამედროვე ეპოქაში სადიაგნოსტიკო კრიტერიუმად მნიშვნელოვანია PCDAI, მონრეალის კლასიფიკაცია, ხოლო ქირურგიული მხარის განსასაზღვრად 2021 წელს შემოღებული ლემანის ინდექსი;
- ქირურგიული ჩარევა დამოკიდებულია ლოკალიზაციაზე, გართულების სახესა და მიმდებარე ქსოვილების დაზიანების ხარისხზე;
- ჩვენი პაციენტების სამედიცინო ისტორიების ანალიზის საფუძველზე მივიღეთ, რომ დაავადება უფრო ხშირი იყო მდედრობით სქესში (3:2);

- თითოეული პაციენტის მონრეალის კლასიფიკაციით მიღებული ALB ნებისმიერი ვარიანტი, PCDAI მაღალი ქულა, ლემანის ინდექსის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს დაავადების შედარებით უფრო მძიმე მიმდინარეობაზე.
- კრონის დაავადების მკურნალობისთვის მნიშვნელოვანია კორტიკოსტეროიდების გამოყენება, თუმცა ევროპასა და კანადაში პრედნიზოლონამდე შესაძლოა პირველი ხაზის თერაპიად გამოყენებული იყოს ინფლიქსიმაბი;
- ჩვენ მიერ შესწავლილ სამ პაციენტში ინფლიქსიმაბის გამოყენების შემდეგ PCDAI და ESR მაჩვენებლები შემცირდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gasparetto M, Guariso G (2013) Highlights in IBD epidemiology and its natural history in the paediatric age. *Gastroenterol Res Pract* 2013:829040–829012. <https://doi.org/10.1155/2013/829040>
2. Prideaux L, Kamm MA, et al. (2012) Inflammatory bowel disease in Asia: a systematic review. *J Gastroenterol Hepatol* 27(8):1266–1280. <https://doi.org/10.1111/j.1440-1746.2012.07150.x>
3. Ng SC, Shi HY, Hamidi N, et al. (2017) Worldwide incidence and prevalence of inflammatory bowel disease in the 21st century: a systematic review of population-based studies. *Lancet* 390(10114):2769–2778. [https://doi.org/10.1016/S0140-6736\(17\)32448-0](https://doi.org/10.1016/S0140-6736(17)32448-0)
4. Su HY, Gupta V, Day AS, Gearry RB (2016) Rising incidence of inflammatory bowel disease in Canterbury, New Zealand. *Inflamm Bowel Dis* 22(9):2238–2244. doi:<https://doi.org/10.1097/mib.0000000000000829>
5. Bernell O, Lapidus A, Hellers G (2000) Risk factors for surgery and postoperative recurrence in Crohn's disease. *Ann Surg* 231(1):38–45. <https://doi.org/10.1097/0000658-200001000-00006>
6. Gasche C, Scholmerich J, Brynskov J, et al. (2000) A simple classification of Crohn's disease: report of the Working Party for the World Congresses of Gastroenterology, Vienna 1998. *Inflamm Bowel Dis* 6(1):8–15. <https://doi.org/10.1097/00054725-200002000-00002>
7. Satsangi J, Silverberg MS, Vermeire S, Colombel JF (2006) The Montreal classification of inflammatory bowel disease: controversies, consensus, and implications. *Gut* 55(6):749–753. <https://doi.org/10.1136/gut.2005.082909>

ლაშა ჭელიძე ¹, ნინო ადამია ², დავით მახათაძე ³, დავით ცხომელიძე ¹,
ნატალია ჭილაძე ¹, ნინო ხარაძე ¹

კრონის დაავადება XXI საუკუნეში: იმუნოპათოფიზიოლოგია და დიაგნოსტიკის თანამედროვე
ჰორიზონტები

¹ თსუ, სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი; ² მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, პედიატრიის დეპარტამენტი; ³ მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, გასტროენტეროლოგიის დეპარტამენტი

რეზიუმე

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ კრონის დაავადება აქტიურად მიმდინარეობს პედიატრიულ ასაკში. ჩვენ მიერ შესწავლილ პაციენტებში, რომლებსაც დასჭირდათ ქირურგიული ჩარევა, დაავადებას თან ახლდა სხვადასხვა ექსტრაინტესტინური კლინიკური გამოვლინება. პედიატრიული კრონის დაავადების სიმწვავის მაღალი ქულა, მონრეალის კლასიფიკაციით პაციენტთა შეფასება (ALB სხვადასხვა ვარიანტი) და ლემანის ინდექსის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს დაავადების შედარებით უფრო მძიმე მიმდინარეობაზე და მოითხოვს მკურნალობის ზედმინევით განხორციელებას. მსუბუქად მიმდინარე დაავადების მქონე პაციენტებში მკურნალობის ძირითადი ხაზი გახლდათ პრედნიზოლონი, ხოლო მძიმედ მიმდინარე დაავადების მქონე პაციენტებში ინფლიქსიმაბი.



ავთანდილ კოჭლამაზაშვილი, მარინა გიორგობიანი, მარიამ გიგიაძე, ქეთევან თელია

მიოკარდიუმის ინფარქტი და პიროვნული ტემპერამენტი

საქართველოს - საზღვარგარეთის ქვეყნების თანამეგობრობის საერთაშორისო საზოგადოების პრევენციული კარდიოლოგიის სექტორი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ჰიგიენის, სამედიცინო ეკოლოგიის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის დეპარტამენტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.06>

AVTANDIL KOCHLAMAZASHVILI, MARINA GIORGOBIANI, MARIAM GIGIADZE,
KETEVA TELIA

MYOCARDIAL INFARCTION AND PERSONALITY TEMPERAMENT

Georgian Foreign Countries Friendship International Society Preventive Cardiology Sector; Tbilisi State Medical University, Department of Hygiene, Medical Ecology and Health Promotion, Tbilisi, Georgia

SYMMARY

We analyzed personality temperament data from 3000 patients (2250 men, 750 women, aged 25 to 95 years) with acute myocardial infarction, accumulated over several decades. As a result of our study, we determined that patients with a choleric temperament are more likely to develop myocardial infarction. Myocardial infarction occurs with approximately equal frequency in sanguine, phlegmatic and melancholic people. In the character of a choleric person, a decisive role is played by sharp fluctuations in character and a slight tendency to traumatize the psycho-emotional field. We consider it advisable to identify a person's temperament type in a timely manner in order to prevent the development of a heart attack.

Keywords: myocardial, infarction, personality, temperament

დღეისათვის ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ჩვენი პლანეტის მოსახლეობის თავზე „დამოკლეს მახვილივით“ არის ჩამოკიდებული გულის იშემიური დაავადების მრისხანე გამოვლინება - მიოკარდიუმის ინფარქტი, რომელსაც კაცობრიობის „მთავარ ჯალათს“ უწოდებენ მისგან განპირობებული ფიზიკური, მორალური, ლეტალური და ეკონომიური ზარალიდან გამომდინარე, რაც მილიონიანი ციფრებით განისაზღვრება.

თანამედროვე ეპოქაში, ეს ვერაგი სწეულება თავის „აპოგეაშია“, ყოველწლიურად იზრდება ინფარქტით შეპყრობილთა რიცხვი და თანაც „ახალგაზრდავდება“. ცივილიზაციის „ფლაგმანი“ დაავადება, რომელიც სხვადასხვა მავნე ფაქტორთა ზეგავლენითა და უპირატესად ათეროსკლეროზის ურთულესი პროცესის შედეგად ვითარდება, უფრო და უფრო ხშირად ხდება მსჯელობის საგანი [1,2,3]. ინფარქტის პრობლემას სამ მილიონამდე სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა და მასზე ექიმ-მკვლევართა მთელი ჯარი აგრძელებს მუშაობას.

აქედან გამომდინარე, შრომის მიზანს შეადგენდა ჩაგვეტარებინა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტიან ავადმყოფთა ფსიქოფიზიოლოგიური დახასიათება, ანუ პიროვნული ტემპერამენტის ტიპირების ზუსტი დიფერენციაცია და გამოგვევლინა მათი სიხშირე აღნიშნულ დაავადებასთან მიმართებაში.

ზოგადი განმარტებით ტემპერამენტი არის საგნებთან და მოვლენებთან კონტაქტების შედეგად წარმოდგენილი ნერვული მოქმედების რეაგირება, მისი ფუნქციური თავისებურება, აქტივობა და თავშეკავება. პიროვნული ტემპერამენტი ორგანიზმის ერთ-ერთ ძირითად თვისებას წარმოადგენს და ინდივიდუალური მთელ მოღვაწეობას გარკვეულ ბეჭედს ურტყამს.

პიროვნული ტემპერამენტის ანუ ფსიქოფიზიოლოგიური დახასიათების მიხედვით განარჩევენ ოთხ ტიპს: სანგვინიკს, ქოლერიკს, ფლეგმატიკსა და მელანქოლიკს. „სანგვა“ ლათინურად ნიშნავს სისხლს, „ჰოლე“ - ნალველს, „ფლეგმა“ - ლორწოს, „მელანჰოლე“ კი შავ ნალველს.

სანგვინიკი გამოირჩევა დიდი სიცოცხლისუნარიანობით გრძნობების მკვეთრი გამოხატვის უნარით, ადვილი აგზნებადობით, სიმკვერცხლითა და ენერგიულობით. ქოლერიკი ცნობილია ხასიათის მკვეთრი ცვალებადობით, სწრაფი მოქმედებებით, მოუსვენრობით, სიფიცხითა და ფხუკიანობით. ფლეგმატიკი ხასიათდება განსაკუთრებული სიმშვიდით, გრძნობების უინტერესო გამოხატვით, ნელი მოძრაობით, თავშეკავებულობითა და სიჩუმით. მელანქოლიკი შეიმჩნევა უხალისობით, ნაღვლიანობით, გრძნობების სუსტი გამოხატვით, სულიერი დათრგუნვითა და ლმობიერობით.

საქართველოს-საზღვარგარეთის ქვეყნების თანამეგობრობის საერთაშორისო საზოგადოების პროფილაქტიკური კარდიოლოგიის სექტორში გაგანალიზეთ მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით შეპყრობილი 3000 ავადმყოფის პიროვნული ტემპერამენტის მონაცემები, რომელიც მოპოვებულია ჩვენს მიერ (აკადემიკოსი ავთანდილ კოჭლამაზაშვილი), სხვადასხვა ავტორიტეტულ კლინიკებში (ინტენსიური კარდიოლოგია) ათეული წლების მუშაობის მანძილზე.

პიროვნული ტემპერამენტის გამოსავლენად შემუშავებული გვექონდა სპეციალური სქემა, რომლის მიხედვითაც მიზანდასახული გამოკითხვით ხაზი ესმებოდა იმ მომენტებს, რომლითაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა პიროვნული ტემპერამენტის ტიპირებისათვის. ავადმყოფთა გამოკითხვის სქემა ზოგადად მოიცავდა პუნქტებს, რომლებიც უპირველესყოვლისა ეხებოდა პაციენტთა ნერვულ-ფსიქიკურ-ემოციურ მხარეებს, მათი ცხოვრებისა და მუშაობის წესს კონკრეტულ სიტუაციასთან დამოკიდებულებაში.

მხედველობაში ვიღებდით საყოფაცხოვრებო პირობებს, მატერიალურ მდგომარეობას, ურთიერთობას ოჯახის წევრებთან და კოლექტივთან, სადაც შრომით საქმიანობას ეწეოდა პაციენტი. გვანტერესებდა კვებისა და ძილის რეჟიმი, ფიზიკური დატვირთვა, გონებრივი გადაღლა, კვალიფიციური ცოდნა, უნარი, უცხო გარემოსთან შეგუების ფაქტორი, როგორი იყო მათზე ავადმყოფობის რეაქცია და ა.შ., ვითვალისწინებდით ნევროპათოლოგიისა და ფსიქოლოგიის კონსულტაციებს.

დაკვირვების ქვეშ მყოფი 3000 ინფარქტიან ავადმყოფიდან მამაკაცები შეადგენდნენ 2250 (75%)-ს, ქალები - 750 (25%)-ს. საერთო ასაკი შეადგენდა 25-დან - 95 წელს. მათ შორის 25-დან - 50 წლამდე - 420 (14%), 50-დან - 65 წლამდე - 1268 (42,2%), 65-დან - 75 წლამდე - 810 (27%), 75-დან - 95 წლის ჩათვლით - 502 (16,73%). 3000-დან პირველადი ინფარქტი აღენიშნა 2625 (87,5%)-ს, მეორადი - 375 (12,5%)-ს, წინა კედლის ინფარქტი დაუდგინდა - 1577 (52,57%)-ს, უკანა კედლის - 1423 (47,43%)-ს.

სქესი		ასაკი (25-95)				ინფარქტის ლოკალიზაცია		ინფარქტის ჯერადობა		ტემპერამენტი			
მამაკაცი	ქალი	25-50-მდე	50-65-მდე	65-75-მდე	75-95 წი	წინა კედლის	უკანა კედლის	პირველადი	მეორადი	სანგვინიკი	ქოლერიკი	ფლეგმატიკი	მელანქოლიკი
2250	750	420	1268	810	502	1577	1423	2625	375	612	1089	631	668
75 %	25 %	14 %	42.2 %	27 %	16.7 %	52.57 %	47.43 %	87.5 %	12.5 %	20.4 %	36.3 %	21 %	22.26 %

პიროვნული ტემპერამენტის მიხედვით, გულის კუნთის მწვავე ინფარქტით შეპყრობილი 3000 ავადმყოფიდან 612(20,4%)-ს აღმოუჩინეთ სანგვინიკის ტიპის ტემპერამენტი, 1089(36,3%)-ს ქოლერიკის ტიპი, 631(21,03%)-ს - ფლეგმატიკისა და 668(22,26%)-ს კი მელანქოლიკის

ტემპერამენტი. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ 50 წლის ასაკამდე ქოლერიკ მამაკაცებს მეტად აღენიშნებათ გულის კუნთის ინფარქტი, ვიდრე ცალ-ცალკე სანგვინიკ, ფლეგმატიკ და მელანქოლიკ მამაკაცებს. რაც შეეხება 50 წლამდე ქოლერიკის ტიპის ქალებს, ისინი ისეთივე იშვიათობით ინაწილებენ მიოკარდიუმის ინფარქტის სიხშირეს, როგორც ყველა დანარჩენი ტემპერამენტის ტიპები. დაკვირვების ქვეშ მყოფი 3000 პაციენტთა საერთო ასაკიდან 25-დან 95 წლის ჩათვლით, ქოლერიკები აშკარად ჭარბობენ ცალკე აღებულ სანგვინიკებს, ფლეგმატიკებსა და მელანქოლიკებს, რომელთაც თითქმის თანაბარი მაჩვენებლები აღმოაჩნდათ ინფარქტის განვითარების სიხშირის მიხედვით.

ჩვენი გამოკვლევიდან გამომდინარე თავს უფლებას ვაძლევთ დავასკვნათ შემდეგი:

1. საერთო ასაკობრივ ჯგუფში, 25 წლიდან - 95 წლის ჩათვლით მიოკარდიუმის ინფარქტით გაცილებით ხშირად ავადდებიან ქოლერიკის ტიპის ტემპერამენტის პაციენტები.
2. სანგვინიკებს, ფლეგმატიკებსა და მელანქოლიკებს მიოკარდიუმის ინფარქტი თითქმის ერთნაირი სიხშირით ემართებათ.
3. ქოლერიკთა ნატურაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ხასიათის მკვეთრი მერყეობა და ფსიქოემოციური სფეროს ტრავმატიზაციისაკენ იოლი მიდრეკილება.
4. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პიროვნული ტემპერამენტის ტიპის დროული გამოვლინება ინფარქტის განვითარების პრევენციის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოჭლამაზაშვილი ა. ინფარქტის პროფილაქტიკა ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა. - თბილისის სამედიცინო ჟურნალი ოჯახის მკურნალი, 2009, #20, 26-29.
2. კოჭლამაზაშვილი ა., კბილაშვილი თ. ათეროსკლეროზული პროცესის დროული გამოვლინება ახალგაზრდულ ასაკში. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2012, #4, 105-107.
3. Кочламазашвили А.И., Кбилашвили Т.Д. – К вопросу профилактики атеросклероза. Современные аспекты бальнеофизиотерапевтических технологий в медицинской реабилитации. Москва – Прага – Марианские Лазне, 2013, ст. 56.

ავთანდილ კოჭლამაზაშვილი, მარინა გიორგობიანი, მარიამ გიგიაძე, ქეთევან თელია

მიოკარდიუმის ინფარქტი და პიროვნული ტემპერამენტი

საქართველოს - საზღვარგარეთის ქვეყნების თანამეგობრობის საერთაშორისო საზოგადოების პრევენციული კარდიოლოგიის სექტორი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ჰიგიენის, სამედიცინო ეკოლოგიის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის დეპარტამენტი

რეზიუმე

ჩვენ გავაანალიზეთ, რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში დაგროვილი მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით შეპყრობილი 3000 (კაცები - 2250, ქალები - 750) ავადმყოფის (25 - დან 95 წლის ჩათვლით) პიროვნული ტემპერამენტის მონაცემები.

ჩატარებული გამოკვლევიდან დავადგინეთ, რომ მიოკარდიუმის ინფარქტით გაცილებით ხშირად ავადდებიან ქოლერიკის ტიპის ტემპერამენტის მქონე პაციენტები. სანგვინიკებს, ფლეგმატიკებსა და მელანქოლიკებს მიოკარდიუმის ინფარქტი თითქმის ერთნაირი სიხშირით ემართებათ. ქოლერიკის ნატურაში, გადამწყვეტ როლს თამაშობს ხასიათის მკვეთრი მერყეობა და ფსიქოემოციური სფეროს ტრავმატიზაციისაკენ იოლი მიდრეკილება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პიროვნული ტემპერამენტის ტიპის დროული გამოვლინება ინფარქტის განვითარების პრევენციის მიზნით.



DAVIT TSKHOMELIDZE, LASHA TCHELIDZE, NATALIA CHILADZE
ON SOME FEATURES OF DETECTING CONCORDANCE IN MONOZYGOTIC (MZ) TWINS

TSMU, Department of Medical Biology and Parasitology

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.07>

დავით ცხომელიძე, ლაშა ჭელიძე, ნატალია ჭილაძე
**მონოზიგოტურ (MZ) ტყუპებში კონკორდანტობის გამოვლენის ზოგიერთი
თავისებურების შესახებ**

თსუ, სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი

რეზიუმე

ამ ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ გავგეანალიზებინა და ერთმანეთისათვის შეგვედარებინა ბუნებრივი გზით და საკეისრო კვეთით დაბადებული MZ ტყუპისცალების მიერ შესრულებული ნახატები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ისინი ნახატებს ქმნიდნენ ერთსა და იმავე დროის მონაკვეთში და თანაც თითოეულმა ტყუპისცალმა არ იცოდა, თუ რას ხატავდა სხვა ტერიტორიაზე მყოფი მეორე ტყუპისცალი. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ როგორც ბუნებრივი გზით, ისე საკეისრო კვეთით დაბადებული MZ ტყუპისცალების მიერ შესრულებული ნახატების კონკორდანტობა საკმაოდ მაღალი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანში გარკვეული სახის უნარები ჯერ კიდევ დაბადებამდე არის დეტერმინირებული ჩვენს ორგანიზმში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ MZ ტყუპებში მეორე ტყუპისცალი უფრო მეტად გახლდათ დეტალების ხატვისადმი ორიენტირებული, ვიდრე პირველი. აქ წარმოდგენილი საკითხების კიდევ უფრო სიღრმისეულად გაანალიზების მიზნით ვფიქრობთ საინტერესო იქნება ჩვენს მიერ მოპოვებული მონაცემების დამუშავება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.

If you want a better life, what would you change first? Almost no one would say „my genes”. And with good reason, we`ve been taught that genes are fixed and unchangeable. If you happen to be an identical twin, both of you will have to settle for identical genes, no matter how good or bad they are [1]. But identical twins, despite being born with the same genes, show extremely different gene expression as adults. One twin may be obese, the other lean; one may be schizophrenic and the other not; one may die long before the other. All of these differences are regulated by gene activity [1]. At the same time, team led by Dr. Jeffrey Craig in 2010 investigated a few relatively small regions of the genome in greater detail using samples just from newborn twin pairs, they showed MZ twins differed in their DNA methylation patterns, suggesting identical twins begin to diverge epigenetically during development in the uterus and we can conclude that even genetically identical individuals are epigenetically distinct by the time of birth, and these epigenetic differences become more pronounced with age and exposure to different environments [2].

Beside of Epigenetic and Environmental factors there are some factors contributing to differences in MZ twins too. Post-zygotic changes:

- Chromosomal mosaicism: After the initial split, further division can create cells with slightly different chromosome arrangements.
- X-inactivation: In females, one X chromosome is inactivated. This process can be skewed, leading to differences in gene expression.
- Imprinting: Certain genes are expressed based on whether they are inherited from the mother or the father. These imprinted genes can be differentially expressed in MZ twins [3].

Our study aimed to determine the dynamics of changes in skills such as drawing and handwriting between MZ twins born naturally and MZ twins born by cesarean section [4,5,6]. As concern drawings, we gave the MZ twins such an assignment to draw a picture without telling each other in advance.

Moreover, at our request, we placed several MZ twins in different rooms and asked them to draw any picture for a certain amount of time.

Case (1) Natural birth. Our attention was drawn to the content of these drawings. When the first-born twin drew clouds and wrote that it would rain soon, the other twin, sitting in the other room, continued this thought not by writing, but by drawing directly and drew the rain that had come. Here we want to point out that when we assume that something similar could have been done by the firstborn twin, if he had drawn the clouds first. We showed these drawings to several Georgian artists and asked them which twin's drawing was better. They gave preference to the first-born twin. Nevertheless, we still considered that the second-born twin had a slightly more imaginative mind than the first, as there was more variety in his drawing.




First-born



Second-born

Case (2). After two Georgian identical twins drew us a picture in a short period during an online conference. They fulfilled our request and sent us these two pictures. It is worth noting that during the drawing process, they were in different areas and did not know what their identical twin was going to draw. We offer you the drawings they made.




First-born



Second-born

It was interesting to note that later, the second twin told us that he was also going to draw a cat, but at the last moment, he changed his mind and drew a caricature of a man. In our opinion, in this case, the second twin's drawing leaves a better impression, although the first twin's choice is not wrong either. But the main question is why the second twin wanted to draw a cat in the first place. Is the so-called "competitive gene" mentioned in our previous work at work? [4].

Case (3). Pictures of MZ twins born by cesarean section are already presented here.




First-born

Second-born

As can be seen from these images, there are many similar elements in the drawings of both twins; however, in our opinion, although the drawing of the second twin is more interesting in terms of content, the drawing of the first-born twin still looks more impressive.


Case (4). This case also presents drawings of MZ twins born by cesarean section.



First-born

Second-born

In these images, there is also a great deal of concordance between the drawings of the twins, although the existence of differences is also striking. Our observations showed that the second-born twin was more detail-oriented, which is clearly visible in their drawings. The graph below shows this.



In this paper, we attempted to analyze and compare the drawings made by MZ twins, who were born naturally and by cesarean section. It is noteworthy that they created the paintings at the same time, and each twin did not know what the other twin, who was in a different area, was painting. Based on the results obtained, we came to the conclusion that the concordance of drawings made by MZ twins, both naturally and by cesarean section, was quite high. This indicates that certain skills in humans are determined in our bodies even before birth. We would also like to note that in MZ twins, the second twin

was more oriented towards drawing details than the first. In order to conduct a more in-depth analysis of the issues presented here, we believe it would be interesting to process the data we have collected using artificial intelligence.

References:

1. Deepak Chopra, Rudolf E. Tanzi- Super Genes, 2016; 1-16.
2. Nessa Carey-Epigenetics Revolution; 2013, 75-97.
3. Abstracts from the 19th international Congress on Twin Studies, Cambridge University Press, September, 2024.
4. TSKHOMELIDZE, D., & TCHILADZE, N. (2025). COMPETITIVE “GENE” IN TWINS. Experimental and Clinical Medicine, 2, 116–120. <https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.21>
5. Tskhomelidze, D., Tchelidze, L., Tchiladze, N., & Gogichadze, T. (2024). The second-born twin effect. Experimental and Clinical Medicine, 1, 90–94. <https://doi.org/10.52340/jecm.2024.01.14>
6. International Journal of Pediatrics, 2021, N1, pp48-50

DAVIT TSKHOMELIDZE, LASHA TCHELIDZE, NATALIA CHILADZE
ON SOME FEATURES OF DETECTING CONCORDANCE IN MONOZYGOTIC (MZ) TWINS
 TSMU, Department of Medical Biology and Parasitology

SUMMARY

In this paper, we attempted to analyze and compare the drawings made by MZ twins, who were born naturally and by cesarean section. It is noteworthy that they created the paintings at the same time, and each twin did not know what the other twin, who was in a different area, was painting. Based on the results obtained, we came to the conclusion that the concordance of drawings made by MZ twins, both naturally and by cesarean section, was quite high. This indicates that certain skills in humans are determined in our bodies even before birth. We would also like to note that in MZ twins, the second twin was more oriented towards drawing details than the first. In order to conduct a more in-depth analysis of the issues presented here, we believe it would be interesting to process the data we have collected using artificial intelligence.

Keywords: monozygotic twins, concordance, features



HELEN PHAGAVA, SHAMS SAMIH ALBARARI, ELENE KHACHIDZE,
MARIAM MUMLADZE, MARIAM ANJAPARIDZE
ASSESSING HPV VACCINE KNOWLEDGE AND BEHAVIOR IN MEDICAL STUDENTS

Department of Epidemiology and Biostatistics, Tbilisi State Medical University

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.08>

ელენე ფაგავა, შამს სამიჰ ალბარარი, ელენე ხაჩიძე, მარიამ მუმლაძე, მარიამ ანჯაფარიძე,
HPV ვაქცინასთან დაკავშირებული ცოდნისა და ქცევის შეფასება სამედიცინო
უნივერსიტეტის სტუდენტებში
 თსუ ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველო

რეზიუმე

შესავალი. ადამიანის პაპილომა ვირუსი წარმოადგენს ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემას. ამ კვლევის მიზანს წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებში HPV ვაქცინაციის შესახებ ინფორმირებულობის შეფასება, ვაქცინის

გაკეთების სიხშირის შეფასება და იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ვაქცინაციის განხორციელებაზე გავლენას ახდენს.

მასალები და მეთოდები: ერთმომენტიანი კვლევით მოხდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 247 სტუდენტის გამოკვლევა. მონაცემების შეგროვება განხორციელდა ონლაინ კითხვარის მეშვეობით, ანალიზი ჩატარდა პროგრამა Stata 14.0-ის გამოყენებით, აღწერითი და ანალიტიკური მეთოდებით.

შედეგები: HPV-ის გადაცემის მექანიზმების შესახებ ცოდნის დონე იყო მაღალი (97.98%), თუმცა, სქესის მიხედვით აღინიშნა სტატისტიკურად დამაჯერებელი სხვაობა პასუხებში ვაქცინაციის ასაკთან ($p=0.036$), დაცვის მოცულობასთან ($p=0.014$) და გვერდითი მოვლენების ცოდნასთან ($p<0.001$) დაკავშირებით. ასევე გამოვლინდა ფაკულტეტთაშორის განსხვავებები ვაქცინის მოქმედების ხანგრძლივობის ცოდნაში ($p=0.014$). ვაქცინაციის მაჩვენებელი იყო დაბალი (19.03%) და განსხვავდებოდა ფაკულტეტების მიხედვით ($p=0.025$). მომავალში ვაქცინაციაზე უარის თქმის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალი იყო ქალ სტუდენტებში ($p<0.001$). გადანაცვლების მიღებაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენდა გავლენას: სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები მეტად ეყრდნობოდნენ ინფორმაციას, მიღებულს მშობლებისგან ($p=0.001$) და გაგონილს ლექციებზე ($p=0.011$), ხოლო ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებზე უფრო მეტად ზემოქმედებდნენ მეგობრები ($p=0.019$). ძირითადი ბარიერები იყო ვაქცინაზე ხელმისაწვდომობის აღქმული ნაკლებობა, რაც უფრო ხშირად აღინიშნებოდა სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებში ($p<0.001$), და ვაქცინის საჭიროების ნაკლებად აღქმა, რაც უფრო მეტად იყო გავრცელებული ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებში ($p<0.001$).

დასკვნები: მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების უმეტესობამ იცის HPV ვაქცინის შესახებ, აღინიშნა სხვაობა ცოდნასა და პრაქტიკულ ქცევას შორის. რეკომენდებულია შესაბამისი კამპანიების წარმოება და სტუდენტების ცნობადობის გაზრდა.

Introduction. Human Papilloma Virus (HPV) represents one of the most prevalent sexually transmitted infections globally, causing nearly all cervical cancers and significant proportions of other malignancies [6]. Prophylactic HPV vaccines demonstrate >90% efficacy against targeted high-risk types. Because medical students are future healthcare providers who fall within the recommended vaccination age, understanding their knowledge gaps and vaccination uptake is crucial for developing targeted interventions.

Objective. This study aimed to evaluate HPV vaccine awareness among students at Tbilisi State Medical University and identify factors influencing vaccination uptake.


Materials and Methods. A cross-sectional study was conducted at Tbilisi State Medical University (Tbilisi, Georgia) during January–March 2024 to assess HPV-related knowledge and attitudes among medical students. Using cluster random sampling, 247 students (97 Georgian, 140 international) were selected into the sample (71.66% male, 28.34% female, mean age 22.36 ± 1.48 years). Participants were from the English (56.7%) and Georgian (25.9%) Faculties of Medicine, and the Faculty of Public Health (17.4%). Bilingual (Georgian/English) online questionnaire containing 18 questions was administered via Google Forms. Participation was voluntary and anonymous. The questionnaire was developed based on the literature analysis and approved at the Department of Epidemiology and Biostatistics. Data analysis, using Stata 14.0, included descriptive statistics and analytical statistics, with $p<0.05$ considered significant.

Results. 97.98% correctly identified sexual contact as HPV's primary transmission route, while 85.43% knew the vaccine was not female-specific. Significant gender differences were detected in answers to the knowledge questions. Males outperformed females in determining the recommended vaccination age (57.63% vs 42.86%, $p=0.036$), recognizing the vaccine does not protect against all HPV strains (75.71% vs 60%, $p=0.014$), and identifying potential side effects (79.10% vs 55.71%, $p<0.001$). Faculty differences were notable regarding vaccine protection duration, with medical students scoring higher than public health students (46.43% vs 23.36%, $p=0.014$).

Vaccination awareness was high (97.98%). Public Health students relied more on social media as a source of information (48.6% vs 25.71%, $p<0.001$) and friends (22.43% vs 8.57%, $p=0.002$), while medical students predominantly used lectures. Interestingly, 7.14% of medical students reported never hearing about vaccination versus 0% of Public Health students ($p=0.005$).

Current vaccination rates (19.03%) showed gender (21.47% F vs 12.86% M, $p<0.001$) and faculty differences (25% medical vs 11.21% Public Health, $p=0.025$). Exact data are shown on Figure 1.

Figure 1. Responses to the question „Have you had the HPV vaccine?“ by different grouping variables. Answers were: (1) Yes, both doses; (2) Yes, one dose; (3) No, but I plan to; (4) No and I'm not going to.



Future intentions revealed 60.45% of males planned vaccination versus 45.71% of females, while refusal was higher among females (41.43% vs 14.12%, $p<0.001$) and Public Health students (22.43% vs 21.43%, $p=0.025$).

Decision-making factors showed medical students were more influenced by parents (15% vs 2.80%, $p=0.001$) and lecture information (44.63% M vs 27.14% F, $p=0.011$), while Public Health students more often decided independently (49.53% vs 28.57%, $p=0.001$) and were influenced by friends (11.21% vs 3.57%, $p=0.019$). Barriers included greater access difficulties among medical students (25% vs 0.93%, $p<0.001$), particularly in the medical faculty subgroup (17.16% vs 2.33%, $p=0.012$), and more Public Health students believing vaccination unnecessary (63.21% vs 35%, $p<0.001$). Additional barriers were lack of awareness (82.19%), fear of side effects (52.63%), and cost concerns (14.98%), with parental opposition significantly affecting medical students (15% vs 2.80%, $p=0.001$) and print media as well (12.14% vs 2.80%, $p=0.008$).

Discussion. This study reveals high HPV awareness (97.98%) among medical students, superior to non-medical populations [13], yet knowledge gaps persist. Only half understood transmission routes, aligning with moderate international levels [14] versus >65% elsewhere [3,5,13], contrasting Morocco's

1.50% STI recognition [12]. Low male-related awareness reflects global misconceptions about vaccine availability for men [7,14] and alternative transmission modes [8]. Vaccination rates align with international ranges below 10% in many countries [1-3,5] but higher elsewhere [4,8,11,14]. Faculty type determined information sources; medical students favoured lectures, while non-medical students used social media and friends. Females showed superior HPV knowledge similar to many studies [1,2,4,5,14] and higher vaccination rates, demonstrating greater cervical cancer awareness [11] and vaccine knowledge [4,5,14], though males showed superior oral/penile malignancy knowledge. Medical students were more influenced by parental advice and lectures, while non-medical students decided independently, showed higher vaccination refusal, greater access difficulties, and more likely believed vaccination unnecessary. Barriers were fear of side effects, lack of awareness, and cost concerns. International barriers include psychological factors [1,3-5], cultural attitudes [9,13], limited awareness [2,8,13], lack of recommendations [14-8], and financial barriers [16=10, 14=8, 8=5, 13]. Acceptance rates exceeded 50% among informed participants [8,9,15], with medical students showing greater likelihood and educational interventions increasing acceptance [10]. Future vaccination intentions with 21.86% undecided suggest significant intervention opportunities.

Conclusion and Recommendations. Awareness of HPV vaccination among both Georgian-speaking and international students is below average, which likely contributes to low vaccination rates. It is recommended to enhance awareness among the youth through individual (personal conversations, counseling), group (lectures, seminars, training sessions, discussions), and mass communication channels (TV, radio, social media), supported by appropriate printed educational materials.

References

1. Akpinar CV, Tosun SA. Knowledge and perceptions regarding Human Papillomavirus (HPV) and willingness to receive HPV vaccination among university students in a north-eastern city in Turkey. *BMC Women S Health*. 2023 Jun 6;23(1).
2. Aldawood E, Dabbagh D, et al. HPV vaccine knowledge and hesitancy among health colleges' students at a Saudi university. *Journal of Multidisciplinary Healthcare*. 2023 Nov 1; Volume 16:3465–76.
3. Bencherit D, Kidar R, et al. Knowledge and Awareness of Algerian Students about Cervical Cancer, HPV and HPV Vaccines: A Cross-Sectional Study. *Vaccines*. 2022 Aug 29;10(9):1420.
4. Brunelli L, Bravo G, et al. Beliefs about HPV vaccination and awareness of vaccination status: Gender differences among Northern Italy adolescents. *Preventive Medicine Reports*. 2021 Sep 27;24:101570.
5. Chanprasertpinoy W, Rerkswattavorn C. Human papillomavirus (HPV) vaccine status and knowledge of students at a university in rural Thailand. *Heliyon*. 2020 Aug 1;6(8):e04625.
6. de Martel C, Plummer M, et al. Worldwide burden of cancer attributable to HPV by site, country and HPV type. *International Journal of Cancer*, 2017;141(4), 664-670.
7. George C, Roberts R, et al. Knowledge and awareness of Human Papillomavirus (HPV) and HPV vaccines among Caribbean youth: the case of the Bahamas. *Human Vaccines & Immunotherapeutics*. 2019 Aug 29;16(3):573–80.
8. Khoury JE, Halabi R, et al. HPV Vaccination Prevalence among Lebanese Female University Students: A Cross-Sectional Study. *Journal of Environmental and Public Health*. 2023 Jun 5;2023:1–12.
9. Kim HW, Lee EJ, et al. Knowledge, attitudes, and perceptions associated with HPV vaccination among female Korean and Chinese university students. *BMC Women S Health*. 2022 Feb 23;22(1).
10. Krokidi E, Rao AP, Ambrosino E, Thomas PPM. The impact of health education interventions on HPV vaccination uptake, awareness, and acceptance among people under 30 years old in India: a literature review with systematic search. *Frontiers in Reproductive Health*. 2023 May 5;5.
11. Kudo R, Sekine M, et al. Internet survey of awareness and behaviour related to HPV vaccination in Japan. *Vaccines*. 2021 Jan 25;9(2):87.

12. Mansouri NE, Ferrera L, et al. Awareness and knowledge associated to Human papillomavirus infection among university students in Morocco: A cross-sectional study. PLoS ONE. 2022 Jul 8;17(7):e0271222.
13. Pruski D, Millert-Kalińska S, et al. Knowledge of HPV and HPV Vaccination among Polish Students from Medical and Non-Medical Universities. Vaccines. 2023 Dec 14;11(12):1850.
14. Wang X, Du T, Shi X, Wu K. Awareness and Knowledge about Human Papilloma Virus Infection among Students at Secondary Occupational Health School in China. International Journal of Environmental Research and Public Health. 2021 Jun 11;18(12):6321.
15. Yacouti A, Elkhoudri N, Got AE, Benider A, Hadrya F, Baddou R, et al. Awareness, attitudes and acceptability of the HPV vaccine among female university students in Morocco.

*HELEN PHAGAVA, SHAMS SAMIH ALBARARI, ELENE KHACHIDZE,
MARIAM MUMLADZE, MARIAM ANJAPARIDZE*

ASSESSING HPV VACCINE KNOWLEDGE AND BEHAVIOR IN MEDICAL STUDENTS

Department of Epidemiology and Biostatistics, Tbilisi State Medical University

SUMMARY

Background: Human papillomavirus is a major global health concern. Our **Goal** was to evaluate HPV vaccination awareness among students at Tbilisi State Medical University, assess rate of its administration and identify factors influencing vaccination uptake.

Materials and Methods: A cross-sectional analytical study was conducted from January to March 2024, involving 247 students from Tbilisi State Medical University. Data were acquired by an online questionnaire and analysed in Stata 14.0 using descriptive and analytical methods.

Results: Knowledge of HPV transmission was high (97.98%), but significant gender-based knowledge gaps were noticed regarding vaccination age ($p=0.036$), protection scope ($p=0.014$), and side effects ($p<0.001$). Faculty differences were also noted in knowledge of vaccine protection duration ($p=0.014$). Vaccination uptake was low (19.03%), with rates differing by faculty ($p=0.025$). Future intentions also varied, as refusal to vaccinate was significantly higher among female students ($p<0.001$). Decision-making influences differed significantly; medical students relied more on parents ($p=0.001$) and lectures ($p=0.011$), while public health students were influenced more by friends ($p=0.019$) and independent choice ($p=0.001$). Primary barriers included perceived lack of access, reported more by medical students ($p<0.001$), and the belief the vaccine was unnecessary, more common among public health students ($p<0.001$).

Conclusions: While most students are aware that HPV vaccine exists, there is still a disturbing gap between awareness and vaccination practice. Targeted teaching campaigns that address students individual concerns and misconceptions could significantly improve immunization rates.

Keywords: HPV, vaccination, students



ნინო ხარაძე ¹, ლაშა ჭელიძე ¹, ნინო ხვითია ¹, მანანა ფრუიძე ¹, ეკატერინე მჭედლიშვილი ¹,
ნატალია ჭილაძე ¹, ნიკოლოზ საღირაშვილი ¹, ნინო ადამია ²

გენდერული განსხვავება ძილის ხარისხში და პატერნების შეფასება მოზარდებს შორის: სკოლის მოსწავლეებზე დაფუძნებული კვლევის ანალიზი

¹ თსუ სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი;

² მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.09>

NINO KHARADZE ¹, LASHA TCHELIDZE ¹, NINO KHVITIA ¹, MANANA PRUIDZE ¹,
EKATERINE MCHEDLISHVILI ¹, NATALIA CHILADZE ¹, NIKOLOZ SAGHIRASHVILI ¹,
NINO ADAMIA ²

GENDER DIFFERENCES IN SLEEP QUALITY AND PATTERNS AMONG ADOLESCENTS: ANALYSIS OF A SCHOOL-BASED STUDY

¹TSMU Department of Medical Biology and Parasitology; ²M. Iashvili Children's Central Hospital

SUMMARY

The main objective of the present study was to assess sleep quality and various patterns associated with it among Georgian adolescents, focusing on gender. Using a cross-sectional study design, we studied one hundred and thirty 15-19-year-old school students with an equal ratio of girls and boys (65:65). To assess sleep quality, we used the internationally recognized Pittsburgh Sleep Quality Index (PSQI). Based on the analysis of data obtained from 130 participants, we determined that 23 adolescents' Pittsburgh Sleep Quality Index scores are in the range of 0-7 points, 59 of them - 8-14, and 48 students - 15-21. (A high score indicates poor sleep quality). The overall sleep quality indicator is lower in girls. This is correlated with the use of electronic devices for more than 4 hours a day (49 girls), as well as alcohol consumption (31 girls) and adynamia (47 girls).

Keywords: sleep, quality, adolescents, analysis, gender, school

შესავალი. ძილის დარღვევების საერთაშორისო კლასიფიკაციის (ICSD-3) მიხედვით, არასაკმარისი ძილი განისაზღვრება, როგორც ძილის შემცირებული რეჟიმი, რომელიც გრძელდება მინიმუმ სამი თვის განმავლობაში კვირის უმეტეს დღეებში, დღის განმავლობაში ძილიანობის ჩივილებთან ერთად.

ძილი და ადევკატური ცირკადული რითმი აუცილებელია კოგნიტური, იმუნური და გულ-სისხლძარღვთა სისტემების ნორმალური მუშაობისა და სათანადო ჰომეოსტაზური მექანიზმების შენარჩუნებისათვის. 7-9 საათი ღამით ძილი მიღებულია ნორმად პრაქტიკულად ჯანმრთელი მოზარდი ადამიანისათვის, თუმცა მრავალცენტრული ანალიზი ცხადყოფს, რომ 67% არასათანადო ძილს აღნიშნავს. მთელი რიგი ბიოლოგიური, ფიზიკური და ფსიქოსოციალური ფაქტორები ხელს უწყობენ ძილის დარღვევების განვითარებას მოზარდებში, კერძოდ, პროფესიული მოთხოვნების ზრდა, ელექტრონული მოწყობილობების მასობრივი გამოყენება და სხვადასხვა ფსიქოსტიმულატორული ნივთიერების მიღება. ძილის დარღვევასა და ცხოვრების ხარისხის დაქვეითებას შორის პირდაპირი კავშირია, თუმცა აღნიშნული თემის ირგვლივ ჩატარებული კვლევები საქართველოში ძალზე ლიმიტირებულია.

არასაკმარისი ძილი ასოცირდება ჯანმრთელობისა და სოციალურ უარყოფით შედეგებთან, მათ შორის სკოლასა და შრომის ბაზარზე არახელსაყრელ შედეგებთან. ძილის ხანგრძლივობის შემცირება დაკავშირებულია აშშ-ში სიკვდილის 15 წამყვანი მიზეზიდან 7-თან, მათ შორის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან, ავთვისებიან ნეოპლაზიებთან, ცერებრო-ვასკულარულ დაავადებებთან, უბედურ შემთხვევებთან, დიაბეტთან, სეპტიცემიასა და ჰიპერტენზიასთან. აქედან გამომდინარე, არასაკმარისი ძილის გავლენა, როგორც ჩანს, უფრო აქტუალური საკითხია ჩვენს

საზოგადოებაში და, მისი ფართო სპექტრის ეფექტების გამო, წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მთავარ პრობლემას.

მეთოდები. წინამდებარე კვლევის ძირითადი მიზანი გახლდათ ძილის ხარისხისა და მასთან ასოცირებული სხვადასხვა პატერნის შეფასება ქართველ მოზარდებს შორის სქესზე ფოკუსირების გათვალისწინებით. ჯვარედინ-სელექციური კვლევის დიზაინის გამოყენებით შევისწავლეთ ასოცდაათი 15-19 წლის სკოლის მოსწავლე გოგონების და ბიჭების თანაბარი თანაფარდობით (65:65). ძილის ხარისხის შესაფასებლად გამოვიყენეთ საერთაშორისოდ აღიარებული პიტსბურგის ძილის ხარისხის ინდექსი (PSQI). აღნიშნულიდან გამოვყავით და გამოვთვალეთ თითოეული სქესის ჯამური რაოდენობისათვის ძილის საერთო ხარისხის მაჩვენებელი (TSQ). ავაგეთ გრაფიკი, სადაც დეტალურად წარმოვადგინეთ მონაწილეთა ზოგადი მონაცემებისა და მავნე/სასარგებლო ჩვევებისადმი მიდრეკილების სტატისტიკური ანალიზი აბსოლუტურ რიცხვებსა და შესაბამის პროცენტებში.

შედეგები. 130 მონაწილისგან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე დავადგინეთ, რომ 23 მოზარდის პიტსბურგის ძილის ხარისხის ინდექსის შეფასება 0-7 ქულათა დიაპაზონშია, 59 მათგანის - 8-14, ხოლო 48 მოსწავლის 15-21 დიაპაზონში. (მაღალი ქულა მიუთითებს ძილის ცუდ ხარისხზე). ძილის საერთო ხარისხის მაჩვენებელი უფრო დაბალია გოგონების შემთხვევაში. აღნიშნული კორელაციაშია ელექტრონული მონყობილობების დღეში 4 საათზე მეტ გამოყენებასთან (49 გოგონა), ასევე ალკოჰოლური სასმლის მიღებასა (31 გოგონა) და ადინამიასთან (47 გოგონა).

ცხრილი N1. კვლევაში მონაწილე 130 მოსწავლის შეფასება სხვადასხვა ასპექტის მიხედვით. რიცხვები ასახავს მოსწავლეთა სრულ რაოდენობას

საშუალო ასაკი	16.1	მამრ. (N=65)	მდედრ. (N=65)
კლასი	10	21	19
	11	18	22
	12	26	24
ალკოჰოლი	არა	6	34
	დიახ	59	31
მონწევა	არა	42	61
	დიახ	23	4
ინტერნეტი	3 სთ-ზე ნაკლები დღეში	12	2
	3-4 სთ დღეში	33	18
	4 სთ-ზე მეტი დღეში	20	49
ვარჯიში	არა	20	47
	დიახ	45	18
ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობის სუბიექტური შეფასება	არასახარბიელო/ცუდი	0	4
	კარგი/საუკეთესო	65	61

ცხრილი N2. კვლევაში მონაწილე 130 მოსწავლის შეფასება პიტსბურგის ძილის ხარისხის ინდექსის მიხედვით. მაღალი ქულა მიუთითებს ძილის ცუდ ხარისხზე

PSQI ქულათა დიაპაზონი	მამრობითი	მდედრობით
0-7	17	6
8-14	28	31
15-21	20	28

ცხრილი N3. კვლევაში მონაწილე 130 მოსწავლის ძილის საერთო ხარისხის მაჩვენებლის შეფასება. დაბალი პროცენტული მაჩვენებელი მიუთითებს ძილის ცუდ ხარისხზე

მაჩვენებელი	მამრობითი	მდედრობითი	სულ
>85%	9	3	12
75-84%	14	9	23
65-74%	24	32	56
<65%	18	21	39

ძილის საერთო ხარისხის მაჩვენებელი = ძილის დრო / ადგომის დრო - დანაღლის დრო X 100

დასკვნები. აღნიშნული კვლევით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გოგონებს შორის ძილის ხარისხი მნიშვნელოვნად დაბალია. მათი PSQI მაღალი მაჩვენებელი, ასევე ძილის საერთო ხარისხის დაბალი მაჩვენებელი ადასტურებს აღნიშნულ დასკვნას. მოზარდებს შორის მაღალი PSQI ქულა საბოლოო ჯამში მეტწილად განპირობებულია ელექტრონული მოწყობილობების ხშირი გამოყენებით, რომელთაგანაც, ასოცირებულია ჩაძინებისა და შესაძლო ფსიქოემოციური პრობლემები. სამომავლო კვლევები ფოკუსირებული უნდა იყოს მიზანმიმართულად აღნიშნულ პრობლემაზე, როგორც ერთ-ერთ მთავარ რგოლზე შესაძლო ჯაჭვში - ელექტრონული მოწყობილობები - ძილის დაბალი ხარისხი - დაავადების კლინიკური მანიფესტაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Kochanek K.D., Murphy S.L. et al. Mortality in the United States, 2013. NCHS Data BriefS. 2014;178:1–8.
2. Grandner M.A., Hale L., Moore M., Patel N.P. Mortality associated with short sleep duration: The evidence, the possible mechanisms, and the future. Sleep Med. Rev. 2010;14:191–203. doi: 10.1016/j.smrv.2009.07.006.
3. Chapman D.P., Croft J.B., Liu Y., Perry G.S., Presley-Cantrell L.R., Ford E.S. Excess frequent insufficient sleep in American Indians/Alaska natives. J. Environ. Public Health. 2013;2013:259645. doi: 10.1155/2013/259645.
4. Nielen M.M.J., Spronk I., et al. Incidentie en Prevalentie van Gezondheids Problemen in de Nederlandse Huisartsenpraktijk in 2012. NIVEL Zorgregistraties eerste lijn. [(accessed on 19 December 2018)]; Available online: <https://www.nivel.nl/nl/nzr/zorgregistraties-eerstelijin>.
5. Spoormaker V.I., van den Bout J. The prevalence of sleep disorders; relations with depression and anxiety e a pilot study. NSWO. 2005;16:155–158.
6. Kerkhof G.A. Epidemiology of sleep and sleep disorders in The Netherlands. Sleep Med. 2017;30:229–239.
7. Hublin C., Kaprio J., Partinen M., Koskenvuo M. Insufficient sleep—A population-based study in adults. Sleep. 2001;24:392–400. doi: 10.1093/sleep/24.4.392.
8. Ursin R., Bjorvatn B., Holsten F. Sleep duration, subjective sleep need, and sleep habits of 40-to 45-year-olds in the Hordaland Health Study. Sleep. 2005;28:1260. doi: 10.1093/sleep/28.10.1260.
9. Carskadon M.A., Harvey K. et al. Pubertal changes in daytime sleepiness. Sleep. 1980;2:453–460.
10. Loessl B., Valerius G. et al. Are adolescents chronically sleep-deprived? An investigation of sleep habits of adolescents in the Southwest of Germany. Child Care Health Dev. 2008;34:549–556.
11. Pallesen S., Saxvig I.W. et al. Brief report: Behaviorally induced insufficient sleep syndrome in older adolescents: Prevalence and correlates. J. Adolesc. 2011;34:391–395. doi: 10.1016/j.adolescence.2010.02.005.

ნინო ხარაძე ¹, ლაშა ჭელიძე ¹, ნინო ხვითია ¹, მანანა ფრუიძე ¹, ეკატერინე მჭედლიშვილი ¹,
ნატალია ჭილაძე ¹, ნიკოლოზ საღირაშვილი ¹, ნინო ადამია ²

**გენდერული განსხვავება ძილის ხარისხში და პატერნების შეფასება მოზარდებს შორის:
სკოლის მოსწავლეებზე დაფუძნებული კვლევის ანალიზი**

¹თსუ სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი;

²მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო

რეზიუმე

წინამდებარე კვლევის ძირითადი მიზანი გახლდათ ძილის ხარისხისა და მასთან ასოცირებული სხვადასხვა პატერნის შეფასება ქართველ მოზარდებს შორის სქესზე ფოკუსირების გათვალისწინებით. ჯვარედინ-სელექციური კვლევის დიზაინის გამოყენებით შევისწავლეთ ასოცდაათი 15-19 წლის სკოლის მოსწავლე გოგონების და ბიჭების თანაბარი თანაფარდობით (65:65). ძილის ხარისხის შესაფასებლად გამოვიყენეთ საერთაშორისოდ აღიარებული პიტსბურგის ძილის ხარისხის ინდექსი (PSQI).

130 მონაწილისგან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე დავადგინეთ, რომ 23 მოზარდის პიტსბურგის ძილის ხარისხის ინდექსის შეფასება 0-7 ქულათა დიაპაზონშია, 59 მათგანის - 8-14, ხოლო 48 მოსწავლის 15-21 დიაპაზონში (მაღალი ქულა მიუთითებს ძილის ცუდ ხარისხზე). ძილის საერთო ხარისხის მაჩვენებელი უფრო დაბალია გოგონების შემთხვევაში. აღნიშნული კორელაციაშია ელექტრონული მონაცემების დღეში 4 საათზე მეტ გამოყენებასთან (49 გოგონა), ასევე ალკოჰოლური სასმელის მიღებასა (31 გოგონა) და ადინამიასთან (47 გოგონა).



ირაკლი მჭედლიშვილი, სალომე ზაზაძე, ნატალია გარუჩავა, რუსუდან ჩოჩიშვილი
ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების გავრცელება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

თსუ ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტი; თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.10>

*IRAKLI MCHEDLISHVILI, SALOME ZAZADZE, NATALIA GARUCHAVA,
RUSUDAN CHOCHISHVILI*

SPREAD OF CRIMEAN-CONGO HEMORRHAGIC FEVER IN THE SAMTSKHE-JAVAKHETI REGION

Tbilisi State Medical University, Department of Epidemiology and Biostatistics; Tbilisi, Georgia

SUMMARY

The first case of Crimean-Congo hemorrhagic fever in Georgia was identified in 2009. Since 2013, there has been a significant increase in the incidence rate, which reached 1.32 cases per 100,000 population in 2022. The disease is unevenly distributed across the regions of Georgia. The highest incidence is observed in the Samtskhe-Javakheti region, where the disease was first recorded in 2017. Since 2020, an extremely intense spread of this infection began in the region, peaking in 2022, when the incidence rate reached 28.3 cases per 100,000 population, which is 21.4 times higher than the national average incidence rate for the same year.

As in the rest of the country, within the Samtskhe-Javakheti region, the disease is also unevenly distributed. During the analysis period, only 1 case was recorded in the Javakheti area itself, whereas in the municipalities of Samtskhe - in Aspindza, Adigeni, and Akhaltsikhe - the average incidence rates were 37.7, 34.8, and 25.3 per 100,000 population, respectively.

Keywords: Crimean-Congo, hemorrhagic fever, Samtskhe-Javakheti

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება ერთ-ერთი გავრცელებული და მძიმე ზოონოზური ინფექციაა, რომლის გამომწვევია Buniaviridae-ს ოჯახში შემავალი Nairoviridae-ს გვარის ვირუსი.

იგი ყველაზე გავრცელებულია აფრიკის, აზიის და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. მაგალითად ყაზახეთში 1948-2021 წლებში დაავადების 801 შემთხვევა გამოვლინდა, რომელთაგან 101 შემთხვევა ლეტალობით დამთავრდა. უზბეკეთში 1944-2018 წლებში გამოვლინდა ამ ინფექციის 665 შემთხვევა, მათგან 66 ლეტალური გამოსავლით. ტაჯიკეთში კი 1944-2020 წლებში დაავადების 527 შემთხვევიდან 81-ში ლეტალური გამოსავალი აღინიშნა [1]. მთელ რიგ შემთხვევებში, ლეტალობის ძალიან მაღალი მაჩვენებლები აღინიშნება. მაგალითად ავღანეთში - 21.6%, პაკისტანში - 33-34% და ა.შ. [3]. ევროპის ქვეყნებიდან ინფექცია გვხვდება ბულგარეთში, კოსოვოში, საბერძნეთში, ესპანეთში და სხვაგან [2].

რაც მთავარია, ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელება საკმაოდ გავრცელებულია საქართველოს მეზობელ ქვეყნებში - ირანში, თურქეთში, რუსეთში. მაგალითად, რუსეთში 1999-2020 წლებში დაავადების 2 361 შემთხვევა აღირიცხა, ძირითადად საქართველოს მეზობელ რეგიონებში. თურქეთში დაავადების პირველი შემთხვევა 2002 წელს გამოვლინდა და დღეისათვის 10 000-ზე მეტი შემთხვევაა აღრიცხული [3,4,5].

კვლევის მიზანია ყირიმ - კონგოს ჰემორაგიული ცხელების გავრცელების შესწავლა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

კვლევის მასალა და მეთოდები: სტატისტიკური მონაცემები აღებულია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან და სამცხე-ჯავახეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული ცენტრიდან. საანალიზო პერიოდი მოიცავს 2017-2024 წლებს. მასალა დამუშავდა აღწერითი ეპიდემიოლოგიური მეთოდის გამოყენებით.

მიღებული შედეგები და მათი განსჯა: ყირიმ - კონგოს ჰემორაგიული ცხელების პირველი შემთხვევა საქართველოში გამოვლინდა 2009 წელს. პირველ წლებში ქვეყანაში დაავადების მხოლოდ ერთეული შემთხვევები ვლინდებოდა. ეპიდემიოლოგიური სიტუაცია შეიცვალა 2013 წლიდან, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ავადობის დონე და პიკს მიაღწია 2022 წელს. ამ წელს ავადობის მაჩვენებელმა 100 000 მოსახლეზე 1.32 შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამ დაავადებით ავადობის დონე წლების მიხედვით საგრძნობლად მერყეობს, მას მაინც კარგად გამოხატული მატების ტენდენცია გააჩნია. ამასთან, დაავადებას არათანაბარი გავრცელება ახასიათებს რეგიონების მიხედვით. პირველ წლებში იგი უფრო გავრცელებული იყო შიდა ქართლის რეგიონში, განსაკუთრებით ხაშურის მუნიციპალიტეტში. ამჟამად, ინფექცია ყველაზე ხშირად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გვხვდება. ამდენად, სწორედ ამ რეგიონში შევისწავლეთ დაავადების გავრცელების ეპიდემიოლოგიური თავისებურებები. ეს რეგიონი მდებარეობს საქართველოს სამხრეთში და ესაზღვრება როგორც სომხეთს, ისე თურქეთს. იგი შედგება 6 მუნიციპალიტეტისაგან: ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, ადიგენი, ბორჯომი და ნინოწმინდა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ყირიმ - კონგოს ჰემორაგიული ცხელება პირველად 2017 წელს გამოვლინდა და შემდგომ ავადობის დონე სწრაფად გაიზარდა. 2022 წელს, ავადობის მაჩვენებელმა რეგიონში 28.3 შეადგინა 100 000 მოსახლეზე, რაც 21.4-ჯერ აღემატება ამ წელს მთლიანად ქვეყნის ავადობის მაჩვენებელს. ავადობის ასეთი მაღალი დონე არასდროს არ დაფიქსირებულა საქართველოს არც ერთ რეგიონში, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2023-2024 წლებში ავადობის დონე გარკვეულწილად შემცირდა, მაგრამ ის რამდენჯერმე უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ნებისმიერ რეგიონში.

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების გავრცელების შესწავლამ ამ რეგიონში გვიჩვენა, რომ როგორც მთლიანად საქართველოში, ამ რეგიონშიც დაავადება არათანაბრადაა გავრცელებული. უფრო მეტიც, ერთ მუნიციპალიტეტში, კერძოდ ნინოწმინდაში, საერთოდ არ გამოვლენილა, ხოლო მის მეზობელ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, დაავადების მხოლოდ 1

შემთხვევა აღირიცხა. ორივე მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ჯავახეთს. ამ ტერიტორიაზე აღნიშნული ინფექცია თითქმის არ ვლინდება. რეგიონში არსებული მაღალი დონე მთლიანად განპირობებულია სამცხის ტერიტორიაზე დაავადების ინტენსიური გავრცელებით. განსაკუთრებით ფართოდ დაავადება გავრცელებულია ასპინძის, ადიგენის და ახალციხის მუნიციპალიტეტებში, სადაც 2017-2024 წლების ავადობის საშუალო მაჩვენებელი შესაბამისად 37.7-ის, 34.8-ის და 25.3-ის ტოლია 100 000 მოსახლეზე. რაც შეეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტს, აქ ავადობის დონე საკმაოდ დაბალია.

გლობალური დათბობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდად ითვლება 2016 წლის ჯილეხის აფეთქება იამალის ნახევარკუნძულზე (ჩრდილოეთი რუსეთი), რაც მიიჩნევა ყინულის დნობის შედეგად პათოგენების ხელახალი გააქტიურებისერთ-ერთ ყველაზე მკაფიო მტკიცებულებად. შემთხვევამ იმსხვერპლა 12 წლის ბიჭის სიცოცხლე და გამოიწვია მინიმუმ 20 ადამიანის ჰოსპიტალიზაცია. ამასთანავე, დაიღუპა 2 300-ზე მეტი ჩრდილოეთის ირემი. ეპიდემიოლოგიურმა კვლევით დადგინდა, რომ ჯილეხის სპორები, რომლებიც დაახლოებით 75 წლის წინ ინფიცირებული ცხოველის დაღუპვის შემდეგ დარჩენილიყო გაყინულ ნიადაგში, დნობასთან ერთად გააქტიურდა და გავრცელდა ცხოველებში, ხოლო იქიდან ადამიანებზე. ეს შემთხვევა გახდა ბიძგი შორსმდებარე პიპოთეზისთვის, რომლის მიხედვითაც მუდმივი გაყინული ნიადაგი წარმოადგენს პათოგენური მიკროორგანიზმების ბუნებრივ რეზერვუარს, რომლის აქტივაციაც შესაძლებელია კლიმატის ცვლილების პირობებში. შესაბამისი გარემო პირობების დროს – მაგალითად, გრუნტის ტემპერატურის 5°C -ზე მეტი მატებისას – სპორები ან ვირუსები ინაქტივირებული მდგომარეობიდან გადადიან აქტიურ ფაზაში. გენომური კვლევებით დადასტურდა, რომ პერფროსტიდან აღდგენილ ვირუსებს და ბაქტერიებს აქვთ სიცოცხლისუნარიანობა და ინფექციურობა. ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ ასეთ გარემოში აღმოჩენილი ზოგიერთი აგენტი (მათ შორის ზოონოზური) შესაძლოა გავლენას ახდენდეს თანამედროვე მიკრობიოტაზე ან თავიანთი გენების რეკომბინაციის გზით მოახდინოს ახალი ვარიანტების წარმოშობა. ეს ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ „უძველესი საფრთხის დაბრუნებასთან“, არამედ ახალ ბიოლოგიურ რეალობასთან, რომელშიც ისტორიულად არააქტიური მიკრობები შესაძლოა დაუპირისპირდნენ თანამედროვე ორგანიზმებს – იმუნური სისტემების ანტიბიოტიკ-რეზისტენტობის გათვალისწინების გარეშე [3].

გარდა ამისა, ზოგიერთი მონაცემი მიუთითებს იმაზე, რომ ზემოარქტიკულ რეგიონებში მობინადრე ხალხები განსაკუთრებულად მონყვლადნი არიან ასეთ ინფექციურ აგენტებზე, რის გამოც საჭიროა ეთნოგრაფიულად მორგებული პრევენციული და საყოველთაო იმუნიზაციის პროგრამების გადახედვა. ამას ემატება არქტიკაში აღმოჩენილი უძველესი ზოონოზური აგენტები, რომლებიც მომავალი თაობების ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენენ.

პათოგენების რეაქტივაციის ფონზე საზოგადოებრივი ჯანდაცვა ღვება რამდენიმე სერიოზული გამოწვევის წინაშე. ერთ-ერთი მთავარი საფრთხე უკავშირდება იმუნურად მოუზადებელ მოსახლეობას — ანუ ადამიანებს, რომელთაც არ აქვთ გადატანილი შესაბამისი ინფექციები და არ არიან ვაქცინირებულნი. ამ შემთხვევაში ინფექციის გავრცელების სისწრაფე და მასშტაბი შესაძლოა დრამატულად გაიზარდოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გლობალური დათბობის ფონზე იცვლება ინფექციური აგენტების გადამტანი ვექტორების — კოლოების, ტკიპების

და სხვა ფეხსახსრიანების — გავრცელების არეალი. მათთვის აქამდე არასახსიანო ჩრდილოეთის რეგიონებში ახლა უფრო ხელსაყრელი გარემო იქმნება, რაც ზრდის ზოონოზური და ვექტორთან დაკავშირებული ინფექციების რისკს (მაგ. ლაიმის დაავადება, ყირიმ-კონგოს ცხელება). კიდევ ერთი გამოწვევაა კვების ჯაჭვის რღვევა. ინფიცირებული ცხოველებისგან წამოსული პათოგენები შესაძლოა მოხვდეს ადამიანის კვების სისტემაში — განსაკუთრებით ნადირობის ან თევზჭერის გზით. შედეგად, ჩნდება პათოგენის ზოონოზური გადაცემის უფრო მაღალი რისკი. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს რეგიონები, როგორიცაა იაკუტია, იამალი და ჩრდილოეთ კანადა, სადაც რეგისტრირებულია გრუნტის ტემპერატურის მკვეთრი მატება და უკვე დაფიქსირდა გარემოში ცვლილებები, რაც ხელს უწყობს ინფექციური აგენტების გააქტიურებას. მნიშვნელოვანი გამოწვევაა კვლევითი და ტურისტული ექსპედიციები ამ ტერიტორიებზე, რომლებიც პოტენციურად შეხებაში შედიან პათოგენით დაბინძურებულ გარემოსთან. სათანადო პროტოკოლების არარსებობის პირობებში, მათ შეუძლიათ ინფექცია „გადმოიტანონ“ მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიებზე.

პათოგენების ხელოვნურად განახლებასთან დაკავშირებული კვლევები საჭიროებს მკაცრ ეთიკურ და ბიოუსაფრთხოების რეგულაციებს. განსაკუთრებით გიგანტური ვირუსების განახლება მოითხოვს ბიოუსაფრთხოების IV დონეს. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ასეთი ექსპერიმენტები აუცილებელია პანდემიის საწინააღმდეგო თავდაცვისთვის, სხვები კი ხაზს უსვამენ მათი შემთხვევითი გამოღწევის საფრთხეს [6].

ყინულის დნობასთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებების რისკების შესამცირებლად საჭიროა: კლიმატური და მიკრობიოლოგიური მონაცემების ინტეგრაცია; მონიტორინგის გაძლიერება მაღალი რისკის რეგიონებში; ჯანდაცვის სისტემების მზადყოფნის ამაღლება; მკაცრი ბიოუსაფრთხოების სტანდარტების დაცვა სამეცნიერო კვლევებისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Legendre, M. et al. (2014). Thirty-thousand-year-old distant relative of giant icosahedral DNA viruses with a pandoravirus morphology. *PNAS*, 111(11), 4274–4279.
2. Claverie, J.M. et al. (2022). Past and present giant viruses diversity explored through permafrost. *Nature Communications*, 13, 5852.
3. Monir-Shahroudi, M. et al. (2022). Permafrost as a potential pathogen reservoir. *One Earth*, 5(3), 314–327.
4. Revich, B., & Podolnaya, M.A. (2011). Thawing of permafrost may disturb historic cattle burial grounds in East Siberia. *Global Health Action*, 4(1), 8482.
5. Timofeev, V. et al. (2021). Insights from Yamal: molecular epidemiology and ecology of anthrax in permafrost regions. *Journal of Applied Microbiology*, 131(3), 1410–1422.
6. Claverie, J.M. & Abergel, C. (2023). Giant viruses from ancient permafrost: The risk re-emerging infections. *mSystems*, 8(1), e00757-22.
7. Carlson, C.J. et al. (2022). Climate change increases cross-species viral transmission risk. *Nature*, 607(7919), 555-62
8. The Guardian (2024). Arctic zombie viruses in Siberia could spark terrifying new pandemic, scientists warn.
9. Wired (2016). Bacteria, Methane, and Other Dangers Within Siberia's Melting Permafrost.
10. Nature Climate Change (2022). Over half of known human pathogenic diseases can be aggravated by climate change.

ნატალია გარუჩავა, თინათინ გაბრიჭიძე, დავით გელოვანი
გლობალური დათბობის და ყინულის დნობის როლი ინფექციური დაავადებების ხელახალ
გავრცელებაში (მიმოხილვითი სტატია)
 თსსუ ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტი

რეზიუმე

სტატია განიხილავს გლობალური დათბობის შედეგად მუდმივი ყინულის დნობით გამოწვეულ რისკებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის. ყინულში ათასობით წელიწადს ინახება პათოგენური მიკროორგანიზმები (ბაქტერიები, ვირუსები), რომელთა რეაქტივაცია შესაძლებელია დნობასთან ერთად. განხილულია 2016 წლის ანთრაქსის აფეთქება იამალში, როგორც დამდნარი ყინულის ქვეშ არსებული ნიადაგიდან ინფექციის ხელახალი გავრცელების მკაფიო მაგალითი. მიმოხილვა ეფუძნება გიგანტური ვირუსებისა და სპოროვანი ბაქტერიების სიცოცხლისუნარიანობასა და მათ ინფექციურ პოტენციალს. ნაჩვენებია, რომ გლობალური დათბობა ზრდის ზოონოზური და ვექტორული ინფექციების რისკს, განსაკუთრებით კლიმატურად მონყვლად რეგიონებში. დასკვნაში ხაზგასმულია ბიოუსაფრთხოების, პრევენციისა და ჯანდაცვის სისტემების ადაპტაციის აუცილებლობა.



ანა ფალაშვილი, ლიზი ნიკოლეიშვილი, ბელა კურაშვილი,
ეკა ელაშვილი, ანა ბოტჩორიშვილი

სურსათის აფლატოქსინებზე კვლევის შედეგების შეფასება საქართველოში
 თსსუ, კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტი,
 თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.27>

ANA PHALASHVILI, LIZI NIKOLEISHVILI, BELA KURASHVILI,
EKA ELASHVILI, ANA BOTCHORISHVILI

ASSESSMENT OF RESEARCH RESULTS ON AFLATOXINS IN FOOD IN GEORGIA

Department of Nutrition, Age Medicine, Environmental and Occupational Health, Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia.

SUMMARY

The presence of aflatoxins in food remains a significant food safety challenge in Georgia. This study aimed to evaluate the monitoring results of the National Food Agency of Georgia for the period 2019–2025. According to the findings, no aflatoxin M1 was detected in dairy samples in 2019; however, from 2022 onward, there has been an increase in the number of positive samples. In 2025, five samples exceeded the permissible aflatoxin M1 limits. Testing of hazelnut samples showed relatively low contamination levels (1.6%), though export-oriented products are subject to stricter controls. Armenia's experience demonstrated that effective regulations can minimize aflatoxin contamination in dairy products. The study concludes that Georgia needs to strengthen the control of animal feed quality, improve storage conditions, raise farmer awareness, and enhance monitoring and laboratory capacities to ensure food safety and protect public health.

Keywords: Assessment, Research, Results, Aflatoxins, Food, Georgia

შესავალი. მიკოტოქსინები ტოქსიკური ნაერთებია, რომლებიც წარმოიქმნება მეორადი მეტაბოლიტების სახით გარკვეული ჯგუფის სოკოების მიერ და წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის (WHO, 2020). მიკოტოქსინებიდან განსაკუთრებით საყურადღებო და ზიანის მომტანია ალფატოქსინები, რომელთაგანაც გამოყოფენ

ოთხ ძირითად სახეობას: AFB1, AFB2, AFG1 და AFG2. აფლატოქსინ M1 წარმოადგენს აფლატოქსინ B1-ის მეტაბოლიტს, რომელიც ღვიძლში წარმოიქმნება ციტოქრომ P450-თან ასოცირებული ფერმენტების მოქმედებით (EFSA, 2020; IARC, 2015) [ცხრილი 1].

ცხრილი 1. მიკოტოქსინების ძირითადი სახეობები, წარმომქმნელი სოკოები, საკვები პროდუქტი და მათი ზეგავლენა ჯანმრთელობაზე

მიკოტოქსინის სახეობა	წარმომქმნელი სოკო	საკვები პროდუქტი	ზეგავლენა ჯანმრთელობაზე
აფლატოქსინი B ₁ (AFB ₁)	<i>Aspergillus flavus</i> , <i>A. parasiticus</i>	მარცვლეული, თხილეული, ოსპი, რძე	ჰეპატოტოქსიკურობა, კარცინოგენურობა
ოფლატოქსინი M ₁ (AFM ₁)	მეტაბოლიტი AFB ₁ -ის რძეში	რძე და რძის პროდუქტები	კანცეროგენული, იმუნოსუპრესიული
ოქრატოქსინი A	<i>Aspergillus</i> , <i>Penicillium</i>	მარცვლეული, ყავა, ყურძნის წვენი	ნეფროტოქსიკური, ჰეპატოტოქსიკური
ფუმონიზინები	<i>Fusarium verticillioides</i> , <i>F. proliferatum</i>	სიმინდი, სიმინდის ფქვილი	ნეიროტოქსიკური, ემბოფაგური კიბო
ტრიხოთეცენები (T-2, HT-2)	<i>Fusarium spp.</i>	მარცვლეული, პური	იმუნოსუპრესიული, კანის დაზიანება
ზეარალენონი	<i>Fusarium graminearum</i>	სიმინდი, ხორბალი	ესტროგენული მოქმედება, რეპროდუქციული ტოქსიკურობა

Aspergillus-ის სოკოები ბუნებრივად გვხვდება ნიადაგში, მცენარეულ ნარჩენებში და მარცვლეულში. მათთვის ხელსაყრელი პირობებია მაღალი ტემპერატურა (25–30°C) და ტენიანობა (>16%), რაც ხელს უწყობს სოკოს ზრდასა და აფლატოქსინების წარმოქმნას (Kumar et al., 2022). მიკოტოქსინები კვებით ჯაჭვში ხვდებიან მცენარეული ნედლეულის წარმოებისა და შენახვის არახელსაყრელი პირობების შედეგად – როგორც მოსავლის აღებამდე, ასევე შემდეგ. დაბინძურებული პროდუქტებია: რძე და რძის ნაწარმი, მარცვლეული, გამომშრალი ხილი, თხილეული და სანელებლები (FAO/WHO, 2021).

აფლატოქსინები ძლიერ ტოქსიკურია და დაკავშირებულია ღვიძლის კიბოს, იმუნოსუპრესიასა და ბავშვებში ზრდის შეფერხებასთან. აფლატოქსინების გვერდითი ეფექტები აღამიანსა და ცხოველებზე იყოფა 2 კატეგორიად:

1. მწვავე აფლატოქსიკოზი - ზომიერი და მაღალი დოზით აფლატოქსინების მოხმარებისას.
2. ქრონიკული აფლატოქსიკოზი - დაბალი და ზომიერი დოზით მოხმარებისას.

განსაკუთრებით მწვავეა AFB1 რომელიც პირველი ჯგუფის კარცენოგენს წამოადგენს.

საქართველოში აფლატოქსინებით დაბინძურების საფრთხე მაღალია, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც კლიმატური პირობები ხელს უწყობს სოკოვანი ინფექციების გავრცელებას (დასავლეთი). აღსანიშნავია რომ სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული მონაცემებით საქართველოში ფიქსირდება ჰეპატოცელულური კარცენომის მზარდი დინამიკა. ბოლო წლებში საქართველოში დაფიქსირდა დარღვევები გარკვეულ საკვებ პროდუქტებში, რომლის ნიმუშების აღებას და შეფასებას აწარმოებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა და შეგვეფასებინა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სხვადასხვა წლებში განხორციელებული კვლევის შედეგად მიღებული მასალები სურსათში მიკოტოქსინების დონის შესახებ საქართველოს მასშტაბით.

კვლევის მასალა და მეთოდები: მონაცემები შესწავლილი და დამუშავებული იქნა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019-2025 წლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები.

საქართველოში სურსათის მოხმარების ეროვნული კვლევის მონაცემების არარსებობის გამო ექსპოზიცია შეფასდა 2 მიდგომით:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული რძისა და რძის პროდუქტების წარმოებისა და ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების დღიური მონაცემების გამოყენებით;
2. EFSA-ს ევროპის ყოვლისმომცველი სურსათის მოხმარების მონაცემთა ბაზის გამოყენებით.

შედეგები. საქართველოში რძისა და რძის ნაწარმის ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე 2019 წელს ჩატარებულ კვლევაში არც ერთ ნიმუშში არ დაფიქსირდა აფლატოქსინ M1. 2020-2021 წლებში აღნიშნული კვლევა არ განხორციელებულა. 2022 წელს აღებული 60 რძის ნიმუშიდან, 9 ნიმუშში გამოვლინდა აფლატოქსინ M1. 2023 წლის 10 თვის მონაცემებით, 299 ნიმუშიდან 14 აღმოჩნდა დადებითი, ხოლო 2025 წელს გადაჭარბებული აფლატოქსინ M1 რაოდენობა დაფიქსირდა 5 ნიმუშში.

აფლატოქსინ M1-ისთვის დამახასიათებელია სტაბილურობა თერმული დამუშავების მიმართ, რის გამოც ის შეიძლება აღმოჩნდეს როგორც გადამუშავებულ რძეში, ისე რძის პროდუქტებში. კერძოდ, ყველში M1-ის კონცენტრაცია მატულობს, იოგურტში კი მცირდება. საპილოტე კვლევის თანახმად, რომელიც სომხეთში 2024 წელს ჩატარდა, პასტერიზებულ რძესა და ყველში აფლატოქსინ M1 არ დაფიქსირდა, ხოლო არაჟნისა და ხაჭოს ნიმუშებში დონის მაჩვენებლები არ აღემატებოდა დასაშვებ ზღვარს. ირანსა და თურქეთში კვლევებმა მაღალი მაჩვენებლები აჩვენა. რაც შეეხება კაკლოვან კულტურებს, სახელმწიფო კონტროლის შედეგად 2023 წელს თხილის გადამამუშავებელ საწარმოებში ჩატარდა 138 არაგვემური ინსპექტირება, ხოლო 2024 წელს – 106. 2024 წლის 11 თვის მონაცემებით, ექსპორტისთვის განკუთვნილი თხილის 312 ნიმუშიდან დარღვევა გამოვლინდა 5-ში (1.6%). დარღვევებზე მიღებული იყო გადანყვეტილება ტვირთის განადგურების შესახებ ან მის უკან დაბრუნებაზე იმპორტიორი ქვეყნების მხრიდან.

განსჯა. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ საქართველოში რძის პროდუქტებში აფლატოქსინ M1-ის გავრცელება რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად. 2022 წლის შემდეგ დაფიქსირდა დადებითი ნიმუშების მზარდი რაოდენობა, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს ცხოველთა საკვების ხარისხის, შენახვის პირობებისა და ფერმერული პრაქტიკის ნაკლოვანებებს. იმ პირობებში, როდესაც აფლატოქსინ M1-ის არსებობა რძეში მიაწინებს AFB1-ით დაბინძურებული საკვების გამოყენებაზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პირველადი წყაროს კონტროლი. მიუხედავად იმისა, რომ თხილში აღმოჩენილი დარღვევების მაჩვენებელი შედარებით დაბალია, მასზე რეაგირების სისტემა უფრო მკაცრად და სტრუქტურირებულად მუშაობს, განსაკუთრებით ევროკავშირში ექსპორტისთვის განკუთვნილი პროდუქტის შემთხვევაში. ეს შეიძლება მიუთითებდეს რეგულირების ხარისხის განსხვავებაზე შიდა და საგარეო ბაზრის მიმართ. სომხეთის გამოცდილება აჩვენებს, რომ სათანადო კონტროლის პირობებში შესაძლებელია რძის პროდუქტებში აფლატოქსინის არსებობის მინიმალიზაცია. საქართველოსთვის ეს წარმოადგენს პოზიტიურ მაგალითს სისტემური გაუმჯობესებისთვის. ზოგადად, მინდვრიდან სუფრამდე არსებული ჯაჭვი – წარმოებიდან მომხმარებელამდე – მოითხოვს მულტიდისციპლინურ მიდგომას, სადაც კონტროლი, ცნობიერება და შენახვის პირობების ოპტიმიზაცია წარმოადგენს პრევენციის მთავარ მექანიზმებს.

დასკვნა. მიღებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში რძესა და რძის პროდუქტებში აფლატოქსინ M1-ის არსებობა კვლავ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად. 2022

წლიდან მოყოლებული დადებითი ნიმუშების რაოდენობის მატება მიუთითებს სისტემურ პრობლემებზე ცხოველთა კვების, საკვების შენახვის პირობებისა და პირველადი წარმოების კონტროლის კუთხით. განსაკუთრებით საგანგაშოა M1-ის თვისება – თერმული დამუშავების მიმართ მდგრადობა, რაც ქმნის რისკს მის არსებობაზე არა მხოლოდ ნედლ რძეში, არამედ გადამუშავებულ რძის პროდუქტებშიც. კაკლოვან კულტურებში, კერძოდ თხილში, აფლატოქსინების დაბინძურების შემთხვევები შედარებით იშვიათად ფიქსირდება, თუმცა ისინიც საჭიროებენ სისტემურ მონიტორინგს, განსაკუთრებით შიდა ბაზრისთვის განკუთვნილი პროდუქციის შემთხვევაში. ექსპორტის მიმართულებით მოქმედი კონტროლის მექანიზმები (ლაბორატორიული ტესტირება და ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად პარტიის დეკლარირება) მეტ ეფექტურობას იჩენს.

რეგიონული შედარება, მათ შორის სომხეთის მაგალითი, აჩვენებს, რომ სწორი რეგულაციებისა და ტექნიკური მექანიზმების არსებობის პირობებში შესაძლებელია აფლატოქსინების შემცველობის კონტროლი და ზღვრულ მაჩვენებლებში შენარჩუნება. შესაბამისად, საქართველოს სურსათის უსაფრთხოების სისტემას ესაჭიროება:

- ცხოველთა საკვების ხარისხის კონტროლის გამკაცრება;
- შენახვის პირობების გაუმჯობესება;
- ფერმერთა და საწარმოთა ინფორმირებულობის ამაღლება;
- მონიტორინგისა და ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება.

მიკოტოქსინების, მათ შორის აფლატოქსინების, ეფექტიანი მართვა მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას „მინდვრიდან სუფრამდე“, რაც გულისხმობს პრევენციულ ზომებს წარმოების ყველა ეტაპზე, რათა დაცული იყოს მოსახლეობის ჯანმრთელობა და მომხმარებლის ნდობა კვების ჯაჭვის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. World Health Organization (WHO). (2020). *Mycotoxins*.
2. European Food Safety Authority (EFSA). (2020). *Risk assessment of aflatoxins in food*.
3. International Agency for Research on Cancer (IARC). 2015. *Aflatoxins*. IARC Monographs, Vol 100F.
4. Kumar, P., Mahato, D. K., Kamle, M., Mohanta, T. K., & Kang, S. G. (2022). Aflatoxins: A global concern for food safety, human health and their management. *Frontiers in Microbiology*, 13, 850.
5. FAO/WHO. (2021). *Safety evaluation of certain contaminants in food: Aflatoxins*. Joint FAO/WHO Expert Committee on Food Additives.

ანა ფალაშვილი, ლიზი ნიკოლეიშვილი, ბელა ყურაშვილი,

ეკა ელაშვილი, ანა ბოჭორიშვილი

სურსათის აფლატოქსინებზე კვლევის შედეგების შეფასება საქართველოში

ოსსუ, კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

საქართველოში სურსათში აფლატოქსინების გავრცელების საკითხი მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. კვლევის მიზანი იყო სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019-2025 წლებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების შეფასება. მიღებული მონაცემების მიხედვით, 2019 წელს აფლატოქსინ M1 რძის ნიმუშებში არ დაფიქსირდა, თუმცა 2022 წლიდან ნიმუშების დადებითი მაჩვენებლების ზრდა შეინიშნება. 2025 წელს 5 ნიმუშში დაფიქსირდა ნორმების გადაჭარბება. თხილის ნიმუშების კვლევებმა შედარებით დაბალი დაბინძურების დონე აჩვენა (1.6%), თუმცა ექსპორტისთვის განკუთვნილ პროდუქტებზე კონტროლი მკაცრია. სომხეთის გამოცდილებამ აჩვენა, რომ სწორი რეგულაციებით შესაძლებელია აფლატოქსინების დონის შემცირება. დასკვნის მიხედვით, საქართველოში საჭიროა ცხოველთა საკვების ხარისხის გაკონტროლება, შენახვის პირობების გაუმჯობესება, ფერმერთა ცნობადობის დონის ამაღლება და მონიტორინგის სისტემების გაძლიერება.

IMPACT OF ACUTE COVID-19 INFECTION ON BEHAVIORAL PATTERNS IN PATIENTS RECEIVING OPIATE AGONIS TREATMENT WITH METHADONE

¹Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia;²Center for Mental Health and Prevention of Addiction, Tbilisi, GeorgiaDoi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.28>ლევან გიორგობიანი^{1,2}, ხატუნა თოდაძე^{1,2}, ანი მეფარიშვილი¹

COVID-19 ინფექციის გავლენა მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი პაციენტების ქცევით მოდელზე

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;²ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

ჩვენი კვლევა აფასებს COVID -19 პანდემიის გავლენას მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პრაქტიკაზე. ჩატარდა ჯვარედინ-სექციური გამოკითხვა მეთადონის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში მყოფ 120 პაციენტთან, რათა შეფასებულიყო დემოგრაფიული მაჩვენებლები, COVID-19-ით ინფიცირების ისტორია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის წესების დაცვის დონე, ემოციური კეთილდღეობა და სხვადასხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დინამიკა.

კვლევაში მონაწილე პაციენტების ნახევარზე მეტს დაუდასტურდა COVID-19 ლაბორატორიულად, მესამედს კი დასჭირდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. პანდემიის პერიოდში მეთადონის დოზის ზრდა დაფიქსირდა პაციენტთა 29.17%-ში, ასევე მნიშვნელოვნად მოიმატა ალკოჰოლისა და სედატივების მოხმარებამ. პაციენტებისთვის მეთადონის სახლში მისაღები დოზების გაცემამ, რომელიც მიზნად ისახავდა მკურნალობის უწყვეტობის უზრუნველყოფასა და ინფექციის გავრცელების შემცირებას, ზოგ შემთხვევაში გამოიწვია არამიზნობრივი გამოყენება - ფიქსირდებოდა როგორც ინექციური გზით მიღება, ასევე დოზების გაზიარება და გაცვლა სხვა არალეგალურ ნივთიერებებზე.

კვლევა ხაზს უსვამს ინდივიდზე მორგებული მიდგომის საჭიროებას და მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიზისის პირობებში მეთადონის თერაპიის უსაფრთხო და ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელია პაციენტთა გაძლიერებული მონიტორინგი, ცნობიერების ამაღლება და ბალანსირებული რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც ხელმისაწვდომობას, ასევე უსაფრთხოებას.

Introduction. The COVID-19 pandemic has brought changes to healthcare delivery worldwide, creating challenges as well as opportunities for the treatment of opioid use disorder (OUD). Methadone maintenance treatment (MMT) has been a cornerstone of OUD management for decades, but pandemic-influenced policy adaptations - e.g., implementing take-home dosing - while improving accessibility, also raised concerns about patient safety, adherence and substance use patterns [13,7].

The dangers of OUD are complex in the context of COVID-19. Chronic opioid usage impairs respiratory function, and in conjunction with COVID-19, may result in poorer outcomes. In addition, pandemic-related generalized psychological distress has likely worsened substance use behavior [15,2]. While temporary flexibility in methadone regulations was designed to promote continuity of care, it also evokes concerns about dose misuse and higher usage of other psychoactive drugs.

This study was designed to provide insight into how changes in treatment models impacted the experiences and behavioral patterns of patients receiving MMT during pandemics.

Methods. A cross-sectional survey was conducted among patients enrolled in an MMT program in Tbilisi. The questionnaire gathered data on the following key areas:

- Demographics: Age, marital status, and other relevant characteristics.
- COVID-19 history: Laboratory-confirmed infection, testing after exposure or symptoms, emergency service use, and vaccination status.
- Public health compliance: Adherence to curfews, mask mandates, social distancing, and isolation protocols.
- Emotional well-being: Self-reported mental health status before and during the pandemic.
- Methadone dosing: Changes in daily dose (increase, decrease, or no change).
- Other Substance use behaviors: Frequency of alcohol, marijuana, illegal opioid, stimulant, hallucinogen, and sedative use before and during the pandemic.
- Take-home dose management: Patient-reported instances of dose sharing, misuse, or exchanges for illicit substances.

Descriptive statistics were used to analyze survey data, and ethical approval was obtained from the institutional review board.

Results. Among the 120 survey participants (age range: 27–70 years; mean age: 47.37 years), 57.5% were married, and 42.5% were single. Laboratory-confirmed COVID-19 was reported by 55.0% of respondents, with 67.5% having undergone testing due to symptoms or exposure. COVID-19-related complications required emergency services in 31.67% of patients, and 67.5% reported being vaccinated.

Impact on emotional well-being and treatment adherence:

- Before the pandemic, 79.17% of participants rated their emotional health as "good" and 16.66% as "very good."
- During the pandemic, 27.5% reported a decline in emotional well-being, while 70% noted no change.
- Methadone dosing increased in 29.17% of patients, decreased in 7.5%, and remained unchanged in 63.33%.

Changes in substance use behaviors:

- Excessive daily alcohol consumption increased from 0 to 10 patients.
- Daily sedative use rose from 2 to 8 patients, representing a 300% increase.
- Daily marijuana use remained stable at 5 patients, while other substance use patterns showed minimal variations.

Concerns surrounding take-home methadone dosing:

- 18.33% of patients self-administered methadone by injection at home.
- 16.67% shared doses with others.
- 10.83% exchanged doses for illicit drugs.
- Nearly 50% of respondents knew someone who had misused or shared methadone during the pandemic.

Discussion. These findings suggest the widespread effect of the pandemic on MMT patients. An Increase of methadone dosing among 29.17% of patients could be due to increased anxiety and the requirement for treatment stability [2,9]. The increase in alcohol and sedative use observed in this study aligns with existing research, which shows that substance use often rises during times of prolonged psychological stress and social isolation. [5,11,10]. In light of the risk of overdose and drug interaction injury, these findings are concerning.

The misuse of take-home doses of methadone also raises pressing safety versus access concerns. Home dosing policies, although intended to reduce COVID-19 transmission, have opened the door to misuse potential [12,13]. Policymakers should evaluate the need for improved monitoring systems and patient education campaigns in an attempt to minimize these risks.

Besides pharmacological management, the psychological effect of the pandemic is noted. While emotional status was stable in the majority of patients, nearly 30% indicated a worsening of their emotional well-being, further adding to the need for mental health interventions during public health crises [8,4].

Conclusion. The COVID-19 pandemic had a significant impact on the delivery of MMT and the overall well-being of patients. Increases in methadone dosing, rising use of alcohol and sedatives, and reports of take-home dose misuse highlight the need for policies that carefully balance accessibility with patient safety. Based on our findings, the increase in misuse is believed to be a consequence of the generalized approach, rather than the individual. A high vaccination rate may be attributed to frequent interaction with healthcare services and increased awareness by medical personnel.

References

1. Alexander GC, Stoller KB, Haffajee RL, Saloner B. An epidemic in the midst of a pandemic: opioid overdose crisis in the US. *N Engl J Med*. 2020;382(22):e142.
2. Becker WC, Fiellin DA, Desai R. Methadone maintenance treatment and its role during the COVID-19 pandemic. *JAMA Netw Open*. 2020;3(10):e2021306.
3. Centers for Disease Control and Prevention. Mental health and coping during COVID-19 [Internet]. Atlanta (GA): CDC; 2020 [cited 2025 Feb 16]. Available from: <https://www.cdc.gov/mentalhealth>
4. Degenhardt L, Charlson F, Ferrari A, et al. The global burden of disease attributable to opioid dependence: a systematic analysis of the evidence. *Lancet*. 2014;379(9813):156–169.
5. Dubey S, Biswas P, Ghosh R, et al. Psychosocial impact of COVID-19. *Diabetes Metab Syndr*. 2020;14(5):779–788.
6. Holmes EA, O'Connor RC, Perry VH, et al. Multidisciplinary research priorities for the COVID-19 pandemic: a call for action for mental health science. *Lancet Psychiatry*. 2020;7(6):547–560.
7. Joseph G, Torres-Lockhart K, Stein MR, et al. Impact of the COVID-19 pandemic on treatment of substance use disorders. *J Subst Abuse Treat*. 2021;126:108–115.
8. Marmot M, Allen J, Boyce T, Goldblatt P, Morrison J. Health equity in England: the Marmot Review 10 years on. *BMJ*. 2020;368:m693.
9. Nunes EV, Levin FR. Treatment of opioid use disorder with methadone: a review. *JAMA*. 2020;323(5):438–444.
10. Pierce M, Hope H, Ford T, et al. Mental health before and during the COVID-19 pandemic: a longitudinal probability sample survey of the UK population. *Lancet Psychiatry*. 2020;7(10):883–892.
11. Rehm J, Kilian C, Ferreira-Borges C, et al. Alcohol use in times of the COVID-19: implications for monitoring and policy. *Drug Alcohol Rev*. 2020;39(4):301–304.
12. Saloner B, Parish K, Ward JA, et al. COVID-19 and the drug overdose crisis: a collision of epidemics. *Am J Public Health*. 2021;111(5):821–823.
13. Volkow ND. Collision of the COVID-19 and addiction epidemics. *Ann Intern Med*. 2020;172(1):61–62.
14. Wakeman SE, Barnett ML. Primary care and the opioid overdose crisis. *JAMA*. 2020;324(17):1685–86.
15. Wang Q, Berger NA, Xu R, et al. Changes in substance use among people seeking treatment for opioid use disorder during the COVID-19 pandemic. *Drug Alcohol Depend*. 2021; 221:108–115.

LEVAN GIORGOBIANI^{1,2}, KHATUNA TODADZE^{1,2}, ANI MEPHARISHVILI¹

IMPACT OF ACUTE COVID-19 INFECTION ON BEHAVIORAL PATTERNS IN PATIENTS RECEIVING OPIATE AGONIS TREATMENT WITH METHADONE

¹Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia;

²Center for Mental Health and Prevention of Addiction, Tbilisi, Georgia

SUMMARY

This study assesses the effect of COVID-19 pandemic on Methadone maintenance therapy. We conducted a cross-sectional survey of 120 patients with MMT to evaluate demographic factors, exposure to COVID-19, compliance with public health measures, emotional well-being, and substance use behaviors.

More than half of the patients had laboratory confirmed COVID-19, nearly a third required emergency medical care. During the pandemic, 29.17% of patients have increased their methadone dose, similarly, alcohol and sedative use significantly rose. Implementation of take-home dosing was introduced to ensure treatment continuity and reduce virus exposure, resulted in misuse in some cases – patients reported injecting, sharing or exchanging methadone for other illicit substances.

The study highlights the importance of tailoring treatment to individual needs rather than applying general policies. It shows that for the safety and effectiveness of MMT during public health crises, there should be improved monitoring, increase awareness and balanced policies that prioritize both access and safety.

Keywords: COVID-19, Methadone Maintenance Treatment, Opioid, Substance Use, Home Dosing



ნატალია გარუჩავა, დავით კელენჯერიძე, სალომე ეფრემიძე, თაკო თუთბერიძე
გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების რისკის ფაქტორების ინფორმირებულობის
დონე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებში
ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.04.29>

NATALIA GARUCHAVA, DAVID KELENJERIDZE, SALOME EPREMIDZE, TAKO TUTBERIDZE

THE LEVEL OF AWARENESS ABOUT RISK FACTORS OF CARDIOVASCULAR DISEASES AMONG STUDENTS OF TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

Department of Epidemiology and Biostatistics, Tbilisi State Medical University

SUMMARY

This study assessed the awareness of cardiovascular disease (CVD) risk factors among 142 students of Tbilisi State Medical University using an anonymous questionnaire. Results showed most students recognize key risk factors, including unhealthy lifestyle, physical inactivity, substance addiction, diabetes, and high cholesterol. However, knowledge gaps remain, especially concerning gender differences in CVD risk among diabetic patients. Given cardiovascular diseases' leading role in non-communicable disease mortality globally, improving student awareness through educational programs focused on healthy lifestyles and prevention is essential to reduce disease burden.

Keywords: cardiovascular, diseases, awareness, risk factors, TSMU

შესავალი. არაგადამდები დაავადებები (NCDs) დღეს გლობალური ჯანმრთელობისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ გამოწვევას წარმოადგენს. ინფექციური დაავადებებისგან განსხვავებით, რომლებიც ადამიანიდან ადამიანზე ვრცელდება, ისეთი არაგადამდები დაავადებები, როგორიცაა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კიბო, ქრონიკული რესპირატორული დაავადებები და დიაბეტი, დროთა განმავლობაში ვითარდება გენეტიკური, ფიზიოლოგიური, გარემო და ქცევითი ფაქტორების კომბინაციის გამო. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, არაგადამდებ დაავადებათა შორის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები მსოფლიოში სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზია. ეს საყურადღებო სტატისტიკა ხაზს უსვამს ამ დაავადებების გამომწვევი რისკ-ფაქტორების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და განათლების აუცილებლობას.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების ცნების ქვეშ იგულისხმება პათოლოგიურ მდგომარეობათა ფართო სპექტრი, როგორიცაა კორონარული არტერიის დაავადება, გულის შეტევა, ინსულტი და სხვა. ამ მდგომარეობების განვითარება მჭიდრო კავშირშია მოდიფიცირებად რისკ-ფაქტორებთან, მათ შორის არაჯანსაღი კვების ჩვევებთან, ადინამიასთან, თამბაქოს მოხმარებასთან, ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებასთან, მაღალ არტერიულ წნევასთან, ქოლესტერინის მომატებულ დონესთან, სიმსუქნესთან და შაქრიან დიაბეტთან. ამ რისკ-ფაქტორების უმეტესობა პრევენციული ან მართვადია ცხოვრების წესის შეცვლით და ადრეული სამედიცინო ჩარევით.

არაგადამდები დაავადებების, განსაკუთრებით გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, მზარდი გლობალური ტვირთის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ ჯანდაცვის სისტემებმა და საგანმანათლებლო დაწესებულებებმა პრიორიტეტი მიანიჭონ ინფორმირებულობის დონის ამაღლების კამპანიებსა და პრევენციულ სტრატეგიებს. ცოდნითა და რესურსებით ინდივიდების აღჭურვილ შესაძლებელი ხდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან დაკავშირებული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება და მოსახლეობის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიზანი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკ-ფაქტორების შესახებ ინფორმირებულობის დონის შეფასება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებში. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გლობალური ტვირთისა და არაგადამდები დაავადებების სიკვდილიანობის წამყვან მიზეზად ყოფნის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ ჯანდაცვის მომავალი სპეციალისტები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი მათი განვითარების ხელშეწყობი ფაქტორების შესახებ. კვლევის ამოცანა იყო ცნობიერების განსხვავებების ანალიზი სტუდენტების ფაკულტეტის, სწავლის წლისა და სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით.

მეთოდები. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით ანონიმური კითხვარის მეშვეობით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტისა და კურსის 142-მა სტუდენტმა. ეს მრავალფეროვანი ნიმუში საშუალებას იძლევა მიღებული შედეგები განზოგადდეს უფრო ფართო სტუდენტურ პოპულაციაზე და ჩამოყალიბდეს დასკვნები სტუდენტების გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკ-ფაქტორების შესახებ ინფორმირებულობის დონის შესახებ. შეგროვებულმა მონაცემებმა ღირებული ინფორმაცია მოგვანოდა სტუდენტების ცოდნის დონის შესახებ ძირითადი რისკ-ფაქტორების შესახებ, როგორიცაა არაჯანსაღი ცხოვრების წესი, ფიზიკური უმოქმედობა, ნივთიერებების მოხმარება და ქრონიკული მდგომარეობები, როგორიცაა დიაბეტი და სისხლში ქოლესტერინის მაღალი დონე.

შედეგები. მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა ფლობს ინფორმაციას გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების რისკის ფაქტორების შესახებ. მათთვის ცნობილია, რომ ცხოვრების არაჯანსაღი წესი, აღინამია, ადიქცია სხვადასხვა ნივთიერებებისადმი, შაქრიანი დიაბეტი, ქოლესტერინის მაღალი დონე სისხლში, კორელაციურ კავშირშია დაავადების განვითარებასთან, თუმცა გარკვეული საკითხებში ცოდნის დონე არაა დამაკმაყოფილებელია. თუმცა, კვლევამ ასევე გამოავლინა ის მიმართულებები, სადაც სტუდენტების ცოდნა არასაკმარისია, კერძოდ: შესამჩნევი აზრთა სხვადასხვაობა გამოიკვეთა უფრო რთულ და სპეციფიკურ რისკ-ფაქტორებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მაგალითია მოსაზრებების ცვალებადობა იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა დიაბეტი რისკის უფრო მძლავრ ფაქტორს პაციენტის სქესის მიხედვით. პასუხებში ეს განსხვავება მიუთითებს სიცხადის ნაკლებობაზე იმის შესახებ, თუ როგორ ურთიერთქმედებს გარკვეული სამედიცინო მდგომარეობები გულ-სისხლძარღვთა რისკებთან სქესის მიხედვით სპეციფიკურ კონტექსტში.

არანაკლებ საყურადღებოა არტერიული ჰიპერტენზიის კონტროლის ფუნქციის შესახებ კითხვაში გამოვლენილი აზრთა სხვადასხვაობა სტუდენტების პასუხებში, სადაც თითქმის მესამედი არასწორად პასუხობს შეკითხვას ან თავს იკავებს პასუხისგან. ასევე მნიშვნელოვანია სისხლში ქოლესტერინისა და მაღალი (HDL) და დაბალი (LDL) სიმკვრივის ლიპოპროტეინების შემცველობის კორელაციის ბუნდოვანება სტუდენტების თითქმის ნახევრისთვის.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების აღრეული იდენტიფიკაციისა და პრევენციის მნიშვნელობის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტების სასწავლო გეგმაში უფრო მეტი ყურადღება გამახვილდეს ისეთ თემებზე, როგორიცაა ცხოვრების ჯანსაღი წესი, ფიზიკური აქტივობა და პრევენციული ჯანდაცვის სტრატეგიები. გარდა ამისა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისადმი მიძღვნილი რეგულარული სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზება სტუდენტებს საშუალებას მისცემს, განაახლონ ცოდნა, ჩამოიყალიბონ მკაფიო წარმოდგენები და ჩაერთონ დისკუსიებში მიმდინარე სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

